# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 დეკემბერი 2005 №287 (2610) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარია მთავრობა
# მი-შა!
# ქართული ფეხბურთი სააკაშვილის ტოპ-სიტყვას ელის





ბადრი კოიოლაშვილის ფოტოები

კლაუს ტოპმიოლერი უკვე გერმანიაშია და ქართული მხარის შეხმიანებას ელის. მისმა „ტოპსიტყვამ" ქართველები გვარიან საფიქრალში ჩააგდო.

არ ვიცით, შეისვა თუ არა გუშინწინ მცხეთაში ტრადიციულ-კავკასიური სადღეგრძელო ჩვენი სურვილებისა და შესაძლებლობების სამარადჟამო თანხვედრის შესახებ. ფაქტი ისაა, რომ ჰერ კლაუსმა მოსალოდნელზე დიდი მაზანდა თქვა.

ისიც აშკარაა, რომ ახლა ჯერი მთავრობაზეა. გამოვლენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ტოპ-მწვრთნელის საკადრის ტოპ-თანხას? — გამოვა ტოპმიოლერის ვარიანტი, თუ არა და, მოგვიწევს სლოვენიელი სრეჩკო კატანეცის მოლოდინში იმაზე ლაპარაკი, ვინ მოასწრო ჰერ კლაუსთან სამახსოვრო ფოტოს გადაღება.

დრო კი არ ითმენს. მთელი საღამოს განმავლობაში ვცდილობდით მათთან დაკავშირებას, ვის სიტყვასა თუ მარიფათზეც კლაუს ტოპმიოლერისა და საქართველოს ნაკრების დამკვიდრება ჰკიდია თუ ეკიდა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღე კარგა ხნის დასრულებული იყო, ყველა ჩვენთვის სასურველი რესპონდენტი ერთდროულად აღმოჩნდა საქმიან შეხვედრაზე. მოგვიანებით მაინც მივახერხეთ მათთან დაკავშირება და პირველი კომენტარი კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გოკა გაბაშვილს ვთხოვეთ...

— დეტალებში ნამდვილად არ ვარ გარკვეული. ჩემი შეხვედრა ბატონ ტოპმიოლერთან არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა. მოლაპარაკების წარმართვა ნაკრების სავარაუდო მწვრთნელთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივაა. შესაბამისად, ვერც იმას მოგახსენებთ, რა თანხებზეა საუბარი.

— ჩვენი ინფორმაციით, ტოპმიოლერი წელიწადში დაახლოებით მილიონ დოლარს ითხოვს. არის თუ არა მზად სახელმწიფო, გერმანელი მწვრთნელის საკონტრაქტო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვას?

— აქამდეც არაერთხელ დაგვიფიქსირებია, რომ მზად ვართ, გარკვეული ფინანსური დახმარება აღმოვუჩინოთ ფეხბურთის ფედერაციას, თუმცა ნაკრების მომავალ მწვრთნელთან მოლაპარაკების წარმართვა და კონკრეტული ციფრების შეთანხმება მათი საქმეა. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

მინისტრთან შედარებით სიტყვაუხვი იყო სპორტის დეპარტამენტის შეფი დავით ნამგალაური, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მისმა პოზიციამ ჩვენს ალალ დანაღვლიანებას დიდად უშველა...

— ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ჯერ არ გვქონია და არ ვიცით, რა კონკრეტულ პირობებზე ისაუბრეს მათ კლაუს ტოპმიოლერთან.

— როდისთვის გაქვთ დაგეგმილი ამგვარი შეხვედრა?

— უახლოეს დღეებში ბევრი რამ გაირკვევა და ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.

— თვლით თუ არა, რომ ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრებში მოსაწვევად ფეხბურთის ფედერაციამაც და სახელმწიფო სტრუქტურებმაც თავთავის მხრივ შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გაიღონ?

— რა თქმა უნდა. ამ კვალიფიკაციისა და გამოცდილების მწვრთნელის ჩამოყვანა სერიოზული წარმატება იქნება.

— მაგრამ, თუკი მის საკონტრაქტო პირობებს ვერ შევწვდით, გამოდის, ამ დონის სპეციალისტის მოწვევის წინაპირობა საქართველოში უბრალოდ არ არსებობს?

— ასე გამოდის...

რაღა თქმა უნდა, ასე გამოდის. ისიც გამოდის, რომ ახლა ყველაფერი, ფაქტობრივად, ერთი კაცის — ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის ხელშია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ტოპმიოლერთან მილიონებზე სასაუბროდ მზად აშკარად არ არის. ვერც კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ნავარაუდევი რამდენიმე ასეული ათასი ლარი თუ დოლარი უშველის საქმეს. ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ და შევახსენოთ საქართველოს პრეზიდენტს, რომ მან ქართული ფეხბურთის პატრონაჟი პირადად იტვირთა და ვთხოვოთ: გვერდით დაუდექით და დაეხმარეთ ქართულ ფეხბურთს დღეს, რათა ხვალ კიდევ ერთხელ სანანებლად არ დაგვირჩეს გაფრენილი შანსი, დაკარგული დრო, წყალში გადაყრილი ფული...

**გიორგი ნოზაძე**

# საქართველო ტოპმიოლერს ვერ შესწვდა?



**გუშინ** კლაუს ტოპმიოლერის სამდღიანი თბილისური ვიზიტი დასრულდა — ჰერ და ფრაუ ტოპმიოლერები გერმანიაში დაბრუნდნენ და იმის შანსი, რომ ტოპმიოლერი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება, მნიშვნელოვნად შემცირდა.

როცა ეროვნული ნაკრების მწვრთნელობიდან გაიოზ დარსაძე გაათავისუფლეს და ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაციის ფულადი დახმარების სურვილი გამოთქვა უცხოელი სპეციალისტის მოსაწვევად, ითქვა, რომ მთავრობის და ფედერაციის რესურსებით ერთი მილიონი დოლარი გროვდება დამდეგ შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების უცხოელი მწვრთნელის ჯამაგირისთვისო.

მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთი რანგის სპეციალისტისთვის, როგორიც ტოპმიოლერია, ეს თანხა საკმარისი არ არის.

აი, რა გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ:

— ტოპმიოლერთან მოლაპარაკებისას გაირკვა, რომ მის მიერ წამოყენებული პირობები და ჩვენი მოლოდინი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეთი ვითარებაა.

— მაინც რა პირობები და რა გასამრჯელო მოითხოვა ტოპმიოლერმა?

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში ტოპმიოლერთან მოლაპარაკების დეტალებზე საუბარი არაპროფესიულად და არაეთიკურად მიმაჩნია. ისე კი, ტოპმიოლერს აქაურობა ძალიან მოეწონა და საქართველოს ნაკრების გაწვრთნის დიდი სურვილიც აქვს.

— ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის მორიგი კანდიდატი სრეჩკო კატანეცი თბილისში აუცილებლად ჩამოვა?

— ეს უახლოეს ხანში გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**



# სლავოლიუბ მუსლინი: ასათიანს დაცვაში ვხედავ

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა სერბმა სლავოლიუბ მუსლინმა თავის პირველივე რუსულ ინტერვიუში ახსენა ჩვენებური მალხაზ ასათიანი. კერძოდ, ჟურნალისტებმა მას ბელგიური „ლოკერენის" ბრაზილიელ მცველ ჟოაო პინტუ კარლოსის შესაძლო ტრანსფერზე ჰკითხეს და ასეთი პასუხი მიიღეს: „ჩვენ ხომ ასათიანი გვყავს, რომელიც კარლოსზე გაცილებით უნივერსალური ფეხბურთელია. „ლოკომოტივის" თამაშები ამას წინათ ფირზე ვნახე და დავრწმუნდი, რომ ასათიანს შუა ხაზში თამაშიც შეუძლია, თუმცა მე მის გამოყენებას დაცვაში ვაპირებ. გამთამაშებლების ნაკლებობა გუნდში უმისოდაც არ იგრძნობა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ფეხბურთელების ახლოს გაცნობისას აზრიც შევიცვალო"...

„ლოკომოტივი" ახლა შვებულებაშია — მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძე მოსკოვში რამდენიმე დღეში ჩავლენ და მწვრთნელსაც მაშინ გაიცნობენ. სხვათა შორის, გუშინ რუსულ პრესაში ერთი საინტერესო ამბავიც ამოვიკითხეთ — „ლოკომოტივის" ტექნიკურმა დირექტორმა ჰასან ბიჯიევმა აღიარა, რომ კლუბის უახლეს ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც მწვრთნელის დაუკითხავად, კლუბის პრეზიდენტ ვალერი ფილატოვის დაჟინებული თხოვნით შეიძინეს, ასათიანია...

ეს 2003 წელს მოხდა. მას შემდეგ მალხაზი რუსეთის ჩემპიონი, ჩემპიონატის საუკეთესო მცველი და საუკეთესო ლეგიონერი გახდა...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ტორპედო 23-ში ყველაფერს იწყებს

## რევიშვილი რუბინმა დარჩენაზე დააფიქრა

**ქუთაისის** „ტორპედო" მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას 23 დეკემბერს სალორიის ბაზაზე დაიწყებს — ჯერჯერობით უცნობია, მოახერხებენ თუ არა რიონისპირელები თუნდაც ქართულ შავიზღვისპირეთში შეკრების მოწყობას. გუნდში დამრჩენ-წამსვლელთა, ისევე როგორც სავარაუდო ახალწვეულთა საკითხიც იმავე თარიღზეა მიბმული და, როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ კაკაურიძემ გვითხრა, 23 დეკემბრამდე მთავარ მწვრთნელთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდება, რა შემადგენლობით დაიწყებს „ტორპედო" წვრთნას.



„რა თქმა უნდა, თავისუფალ აგენტებთან საქმის დაჭერა გვიჯობს, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო ფეხბურთელში სატრანსფერო თანხის გადახდაზეც დავთანხმდეთ" — ესეც ვლადიმერ კაკაურიძის სიტყვები გახლავთ.

რაც შეეხება „ტორპედოსა" და საქართველოს ნაკრების კარის დარაჯ ნუკრი რევიშვილს, მართალია, რუსული მედია მას უკვე ყაზანის „რუბინის" სავარაუდო ახალწვეულთა შორის მოიხსენიებს, მაგრამ თავად ნუკრი არ ჩქარობს. მას გუშინწინ მორიგი საუბარი ჰქონდა „ტორპედოს" ხელმძღვანელობასთან და თუ შეთავაზებული პირობები დააკმაყოფილებს, შესაძლოა მომავალ ზაფხულამდე მოცდა ამჯობინოს. დღესვე იქნება თუ ექვსი თვის შემდეგ, ქუთაისელებს რევიშვილთან განშორება ყოველგვარი საკონტრაქტო ან საკომპენსაციო თანხის გარეშე მოუწევთ — „ტორპედოსთან" ექვსთვიან კონტრაქტს ვადა გაუვიდა და პერსპექტიულ მეკარეზე ყველა სატრანსფერო უფლებას მისი აგენტი მამუკა ჯულელი ფლობს.

**გიორგი ნოზაძე**

# მატებაა, მატება

## თბილისის პლუს ორი

**საქართველოს** ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი „თბილისი" გუშინ შეიკრიბა და ვარჯიში დაიწყო. მეტწილად 17-18 წლის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ორი ფეხბურთელი შეემატა — „ვიტ ჯორჯიადან" ლევან კვარაცხელია და „ლოკომოტივიდან" გიორგი ბენდელიანი.

ბენდელიანი არა, მაგრამ კვარაცხელიას გამოუცდელი ფეხბურთელი არ ეთქმის, შარშანდელ სეზონში იგი ვიტელთა ძირითადში ხშირად ხვდებოდა და რამდენიმე გოლიც გაიტანა.

„თბილისის" პრეზიდენტმა გოჩა თამაზაშვილმა გვითხრა, ჩვენს კურსს, ანუ ახალგაზრდებზე დაყრდნობას, არ გადავუხვევთო.

„ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამ-ოთხ გამოცდილ ფეხბურთელზე უარს ვიტყვით. შესაძლოა, მეორე წრისთვის დავიმატოთ ასეთები, ოღონდ ისინი ლიდერები უნდა გახდნენ. სხვანაირად აზრი არა აქვს" — გვითხრა თამაზაშვილმა.

**ლუკა თალაკვაძე**

# დავით სირაძე: საათები აუემდე



**თითქმის** გადაწყვეტილია, რომ დავით სირაძე კარიერას ისევ გერმანიას მეორე ბუნდესლიგაში გააგრძელებს. 24 წლის ნახევარმცველი დაახლოებით ხუთი დღის წინ ჩავიდა გერმანიაში, გუშინწინ კი ერცგებირგეს აუე-ში ივარჯიშა და ჩინებული შთაბეჭდილებაც დატოვა.

გეხსომებათ, სირაძე თავის დროზე ჯერ ბერლინის „უნიონში", შემდეგ კი „ტრირში" „თბილისის" ამჟამინდელ პრეზიდენტ გოჩა თამაზაშვილის დახმარებით მოხვდა. ახლა დათოს თავისი მენეჯერი ჰყავს, თუმცა თამაზაშვილთან ახლო ურთიერთობა აქვს და ბატონ გოჩასგან შევიტყვეთ, რომ აუე-სთან კონტრაქტს თითქმის არაფერი ელობება წინ.

„დათო ექვსი თვე წამოსული იყო გერმანიიდან და, ცხადია, აუე-ში მაინც შეამოწმეს. გუშინ დამირეკა, მწვრთნელები კმაყოფილები დარჩნენ და დღეს-ხვალ, ალბათ, კონტრაქტს გამიფორმებენო" — გვითხრა თამაზაშვილმა.

აუე მეორე ბუნდესლიგაში მეცამეტე ადგილზეა, თუმცა გასავარდნ ზონაში მყოფ გუნდებს სოლიდური მარაგით უსწრებს.

**ილია ნანობაშვილი**

### საფრანგეთი

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

ბასტია 1:1 სედანი

### ინგლისი

კონფერენსლიგა. გადადებული მატჩი

ფორესტ გრინი 1:0 ბარტონი

ასოციაციის თასი. II ეტაპი

ბრენტფორდი 1:0 ოლდემი
როვერსი 0:1 პორტ ვეილი
ნორთჰემპტონი 2:0 სტივენეიჯი
ნოსვორთი 2:1 უოქინგი
ოქსფორდი 1:2 ჩელტენემი
ბრედფორდი — ბარნსლი
*გვიან დამთავრდა*

LDV VANS TROPHY. II ეტაპი

ჰალიფაქსი 1:3 სკანთორპი
მაკლსფილდი 4:2 კემბრიჯი
სუონსი — პიტერბრო
*გვიან დამთავრდა*

### შოტლანდია

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

ეარი 2:1 ფორფარი

III დივიზიონი. გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი 0:4 ქუინზ პარკი

### უკრაინა

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

ილიჩევეცი 2:0 არსენალი

### პოლონეთი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

ზაგლებე 0:1 პოლონია

### როიალ ლიგა 2005-2006

C ჯგუფი. III ტური

იურგორდენი 2:1 ოლბორგი

# კალაძე ცენტრმა ვერ გააკვირვა



თავის დროზე კიევის „დინამოში“ კახა კალაძე უნივერსალურ მცველად ითვლებოდა, მატჩიდან მატჩამდე იცვლიდა პოზიციებს და მისი თამაშიც ყველას აკმაყოფილებდა. „მილანში“ გადასვლის შემდეგ კი, აგერ, მერამდენე სეზონია, ჩვენიანი მცველი რეგულარულად მარცხენა მცველის საქმეს აკეთებდა და ამდენად, ცოტა გასაკვირიც იყო, მწვრთნელმა კალაძეს სწორედ ახლა რომ შეუცვალა პოზიცია და ცენტრალურ მცველად ათამაშა. ეს ჯერ ჩემპიონთა ლიგაში, „შალკესთან“ შეხვედრისას მოხდა, მერე კი „ინტერთან“ საკვირაო მატჩისას...

— განსაკუთრებული სიახლე არაფერი ყოფილა, ცენტრალურ მცველად ადრეც ხშირად ვთამაშობდი და ბოლო დროს საქართველოს ნაკრებშიც ზურაბ ხიზანიშვილთან ერთად სწორედ ამ საქმეს ვაკეთებ — გვითხრა გუშინ კახა კალაძემ — ასე რომ, დაცვის შუაში თამაში როცა დამავალეს, ეს არც გამკვირვებია და მაინცდამაინც არ გამჭირვებია.

— **ფიქრობ, რომ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო და მწვრთნელს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა?**

— მართალია, მალდინი ტრავმირებულია, მაგრამ მაინც მგონია, რომ მწვრთნელს ჩემთვის პოზიციის შეცვლა ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული, ახლა კი საამისო შანსი მიეცა და აღარც დააყოვნა.

— **კმაყოფილი დარჩა შენი თამაშით?**

— ყოველ შემთხვევაში, საერთო შეფასებით კარგად ვითამაშე და არც მწვრთნელი უნდა იყოს უკმაყოფილო. ცუდი ისაა, რომ მილანურ დერბიში წავაგეთ...

— **ჩანს, „მილანს“ კრიზისის პერიოდი აქვს. შენც ასე ფიქრობ?**

— შესაძლოა. ბოლო დროს გუნდი ადრინდელივით შთამბეჭდავად ვერ თამაშობს და ლიდერ „იუვენტუსსაც“ უკვე საკმაოდ ჩამოვრჩებით. მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე მთელი ერთი წრეა სათამაშო, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ სკუდეტოს მოპოვების ძალიან მცირე შანსი დაგვრჩა. თუმცა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავედით და გაზაფხულიდან მეტსაც ვეცდებით.

— **ანჩელოტის გათავისუფლებას ხომ არ უპირებენ?**

— არა მგონია, სეზონის ბოლომდე ის „მილანში“ იმუშავებს. მერე რა იქნება, ვერ გეტყვით.

— **მომავალ მატჩებში ისევ ცენტრალურ მცველად უნდა გელოდოთ?**

— იქნებ ასეც იყოს. ჩემი მხრიდან პრობლემა არ იქნება, დანარჩენი მწვრთნელმა იცის. ისე კი, ამ სეზონში გუნდის დაცვის ხაზი ხშირად იცვლება და ძირითადში თამაშის გარანტია არავის აქვს.

— **ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერის შესაძლო დანიშვნაზე რას იტყვი?**

— ბევრს ვერაფერს. არც ვიცოდი, ის თუ თბილისში იყო. თუმც, რაკი ჩამოვიდა, ეტყობა, საქმე სერიოზულადაა. ვნახოთ, რა გამოვა.

**კობა ინასარიძე**

# მესამე სერია: ბერძნები ქეცბაიას დაეკითხნენ



**როგორც** ჩანს, პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ ჯაბა კანკავას და გიორგი განუგრავას თემას არ ეშვებიან. უკვე ვწერდით, საბერძნეთის რჩეული გუნდი ერთ-ერთი ქართველის გადაბირებას აპირებსო, მაგრამ მას შემდეგ საქმე არ დაძრულა. არ არის გამორიცხული, ეს ყველაფერი არ გამოვიდეს, თუმც გუშინ ბერძნულმა გაზეთებმა თემურ ქეცბაიას საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელშიც კვიპროსული „ანართოსის“ თავკაცს განუგრავასა და კანკავაზე დაეკითხნენ. გასაგებიცაა, ბერძნებმა ქართული ფეხბურთი ყველაზე უკეთ ქეცბაიათი იციან...

**ილია ნანობაშვილი**

## კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ტოპ-ტოპ, ტოპ-ტოპ...

რაღაცას მაგონებს, კაცო, ეს ხმა.

ტოპ-ტოპ, ტოპ-ტოპ...

ვაა, რა ნაცნობია. მგონი, ვიღაც რაღაცაში რომ ტოპავს, ის არის. ჰო, მაგრამ რაში?..

რაში... იან რაში. კი, იყო ასეთი ფეხბურთელი, თბილისშიც აქვს ნათამაშევი. ვაჰ, ნუთუ ფეხბურთთან დაკავშირებული ხმაა?

ტოპ-ტოპ, ტოპ-ტოპ...

ესე იგი, ფეხბურთთან დაკავშირებული ვიღაც რაღაცაში ტოპავს.

უი, ვინმე ტოპკას ხომ არ არტყამს? ნუთუ მაგიდის ჩოგბურთზეა ლაპარაკი? მაგრამ ჩვენთან მაგიდის ჩოგბურთი არ არის განვითარებული და...

კარგი, ასე წავიდეთ: რა სპორტია ჩვენთან განვითარებული? ხელბურთი არა, მძლეოსნობა არა, ველო არა, ცურვა არა, წყალბურთი არა, კაბადი-კაბადი არა, ფრენბურთი...

უი, ფრენბურთი ხომ განვითარებულია ჩვენთან?! პირველი ლედის თასს არ თამაშობენ ჯიხაიშელი გოგოები?! თან ტოპკაც ლოგიკურად ჯდება:

ტოპ-ტოპ, ტოპ-ტოპ...

აბა, დავაკავშიროთ: პირველი ლედი, პრეზიდენტი, იუშჩენკო, კონდოლიზა რაისი, სამიტი, ჯიხაიში... რაღაც არ გამოდის.

აბა, ასე: პრეზიდენტი, გოგოები, სპორტი...

თუმცა, შეიძლება, ცუდად მესმის და ეს ტოპ-ტოპ სინამდვილეში ჰოპ-ჰოპ არის. აი, ვიღაცას რომ მოატყუებ და ჰოპ-ს დაიძახებ: მოატყუებ — ჰოპ, კიდევ მოატყუებ — კიდევ ჰოპ. რამეს დაპირდები და არ მისცემ, დაპირდები და არ მისცემ...

ტოპ-ჰოპ, ტოპ-ჰოპ...

ვითომ ასეც შეიძლება?

არა, არ მჯერა.

ვააxხ, აბა, რა შეიძლება იყოს ეს ხმა?..

ვაი, იქნებ სტოპ-სტოპ? აბა, აბა, ისევ გადავაბათ ლოგიკურად: იან რაში, ფეხბურთი და სტოპ, თორემ უკვე ძალიან ტოპ ანუ შეტოპეთ და გეყოთო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რაში შევტოპეთ?

ვახ, აი, ისევ რაში... არა, აშკარად ფეხბურთთან არის ეს ტოპ-ტოპ დაკავშირებული, თუ არა და, მოდი, ჩამოვთვალოთ: ბოპ არაფერია, გოპ არაფერია, დოპ არაფერია, ვოპ არაფერია, ზოპ არაფერია, თოპ არაფერია, კოპ არაფერია, ლოპ არაფერია, მოპ არაფერია, ნოპ არაფერია, პოპ კი არის, მაგრამ სხვაგან, ჟოპ — ესეც არის, მაგრამ არ გვინდა უცხოურად ლაპარაკი, როპ არაფერია, სოპ არაფერია, ფოპ არაფერია, ქოპ არაფერია, ღოპ არაფერია, ყოპ არაფერია, შოპ — ვითომ მაღაზია, შოპინგი და რამე? არა მგონია; ჩოპ არაფერია, ცოპ არაფერია, წოპ არაფერია და ჭოპ, ხოპ და ჯოპ ასევე არაფერია.

საბოლოოდ, რა გამოვიდა? რა და ის, რომ ვიღაც ფეხბურთთან დაკავშირებულმა შეიძლება, რაღაცაში შეტოპოს, რათა რამენაირად რაღაცის სტოპ მოახერხოს და ეს ყველაფერი ჰოპის გარეშე დამთავრდეს...

გაიგეთ რამე?

მე ვერა.

**პაატა ძიძია** (ბაჩუნა ძიძია)

**P.S.** დააგებენ, ბოლოს და ბოლოს, თბილისში ანაგის ქუჩაზე ასფალტს?



კოსმოპოლიტური მიმოხილვა

თბილისის დინამო 80 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა დინამოსთვის

2000-01 წლები თბილისის „დინამოსთვის" ქარტეხილიანი და მძაფრი იყო. საკითხი ასე იდგა — ვინ დაეპატრონებოდა კლუბს. გაიმარჯვა პოლიციამ, უფრო ზუსტად, კახა თარგამაძემ. „დინამოს" ახლანდელი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი კი წამგებიან კლუბში დიდი ინვესტიციების ჩადებას რომ ერიდება, აშკარაა...



რევაზ არველაძე



ბადრი პატარკაციშვილი

## ვიჭერთ რატიანს, ვითრევთ კლუბს

1999-2000 წლების სეზონში „დინამოს" დამფუძნებლები ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, შინაგან საქმეთა სამინისტრო და შპს „ბერმუხა" იყვნენ. მაგრამ ვინ იხდიდა ფულს? მაშინ ამბობდნენ, რომ ფულს გუნდისთვის კლუბის დამფუძნებელთაგან მხოლოდ „ბერმუხა" იხდიდა. ფაქტია, რომ პოლიცია მაშინ არ აფინანსებდა „დინამოს", თუმცა დიღმის ბაზა პოლიციის ბალანსზე იყო ანუ პოლიცია „დინამოს" მაინც ეხმარებოდა.

სეზონი „დინამომ" იოჰან ბოსკამპის მწვრთნელობით დაიწყო, თუმცა ევროფრონტზე მოლდოვურ „ზიმბრუსთან" ფეხი დაუცდა (2:1, 0:1) და ბოსკამპი „დინამოდან" წავიდა. გუნდის გაწვრთნას ოთარ კორღალიძე შეუდგა. სეზონის მეორე ეტაპზე „დინამოს" თამაში არ წაუგია, მაგრამ უტიტულოდ დარჩა — ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა და ინტერტოტოს თასის საგზური მოიპოვა.

მეორე ეტაპზე „დინამოში" გერმანული „ობერჰაუზენიდან" დაბრუნდა რევაზ არველაძე, ვინც მოგვიანებით კლუბის საკვანძო ფიგურა გახდა.

„დინამო", ფაქტობრივად, გაკოტრებული იყო. სეზონის ბოლოს ჟორდანია ჩამოსცილდა კლუბს, ხოლო „დინამოს" პრეზიდენტი და „ბერმუხას" წარმომადგენელი მერაბ რატიანი კი 2000 წლის ივლისში დააპატიმრეს. ბრალდება ასეთი იყო: რატიანმა TBC ბანკიდან კლუბისთვის კრედიტი გამოიტანა და თანხის ნაწილი მიითვისა; რატიანმა „დინამოდან" „ალანიაში" გიორგი დემეტრაძის სატრანსფერო თანხის ნაწილი მიითვისაო.

ასეთი იყო ოფიციალური ბრალდებები, ხოლო კულუარებში სხვას ლაპარაკობდნენ — პოლიციის შეფს კახა თარგამაძეს სურს, „დინამოს" დაეპატრონოსო. ასეთი ხმების მაშინ ბევრს არ სჯეროდა — ვის რად უნდა „დინამო", კლუბი ხომ წამგებიანია?!

„დინამოდან" წავიდა კორღალიძე და გუნდს ინტერტოტოს თასზე ჯემალ ჩიმაკაძე ხელმძღვანელობდა. „დინამომ" ბელგიის „სტანდარდთან" შინ 2:2 ითამაშა, სტუმრად 1:1 და ასე გამოეთიშა ევროსარბიელს.

დამდეგი, 2000-01 წლების სეზონისთვის „დინამოს" მწვრთნელი რევაზ არველაძე გახდა. ფული კლუბში მას, მის ძმებს და ლერი სულაბერიძეს მიჰქონდათ, ფეხბურთელებს ავად თუ კარგად ხელფასი ურიგდებოდათ, თუმც „დინამო" არც არველაძეების იყო და არც სულაბერიძის, ფაქტობრივად, ჰაერში იყო გამოკიდებული.

2000-01 წლების ეროვნული ჩემპიონატი „დინამომ" მძიმედ დაიწყო, თუმც მერე თამაში გამოასწორა, ზედიზედ ცხრა თამაში მოიგო და პირველი წრე მესამე ადგილზე ჩაამთავრა. პირველი ეტაპის ჩამთავრების შემდეგ არველაძემ პრესკონფერენცია მოაწყო, თუ „დინამოს" პატრონი არ გამოუჩნდა, კლუბს მე და ჩემი მეგობრები დავეპატრონებითო.

## ვითრევთ დინამოს და ვყიდით

აი, მაშინ კი გამოიბერტყეს ყური მთავრობამ და პოლიციამ. მაგრამ პატიმრობაში მყოფი „დინამოს" ექსპრეზიდენტი მერაბ რატიანი ზეწოლას უძლებდა, კლუბში „ბერმუხას" წილს არავის უთმობდა, მათ შორის, არც პოლიციას, თუმცა მაშინ, ასე ვთქვათ, შევარდნაძე-თარგამაძის ეპოქა იდგა და „დინამო" მაინც მთლიანად პოლიციის საკუთრებაში გადავიდა. პოლიციამვე გადაიხადა „მრეტების" ქინქლაძისეული ვალი, რითაც „დინამო" ფიფა-უეფას სანქციებს გადაურჩა.

პოლიციის მიერ „დინამოს" ასეთნაირად დასაკუთრება ქართული მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა, მაგრამ თარგამაძე შემოტევებს იგერიებდა, ყველაფერი ეს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გაკეთდაო.

სეზონის მეორე ეტაპისთვის „დინამოდან" ერთბაშად 14(!) ფეხბურთელი წავიდა, რადგან პოლიცია კლუბში ფულის გადარიცხვას აგვიანებდა. „დინამო" მეტწილად ახალგაზრდა ფეხბურთელებით შეივსო. რევაზ არველაძე კლუბის პრეზიდენტად დანიშნეს, მწვრთნელობა კი სხვათა გარდა ალექსანდრე ჩივაძესაც შესთავაზეს, მაგრამ საბოლოოდ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა გახდა. 14 ფეხბურთელისგან დაცლილ „დინამოს" თავი არ შეურცხვენია და ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა.

პოლიციის სპეცსახსრებით დაფინანსებულმა „დინამომ" სული მოითქვა, აღდგა „დინამო 2" და „დინამო 3", კლუბმა ინფრასტრუქტურულად დაიწყო ჩამოყალიბება. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი გივი ნოდია დაინიშნა.

„დინამო" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზევე გამოვარდა — ბატეს შინ 2:1 მოიგო, მაგრამ ბელარუსში 0:4 წააგო. რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებულმა და შეფულიანებულმა „დინამომ" ეროვნული ჩემპიონატიც სუსტად დაიწყო.

...და ამბავი „სარბიელმა" გაზეთქა — პოლიციამ „დინამო" გაყიდა! ეს უტყუარი ინფორმაცია კი იყო, მაგრამ მყიდველის ზუსტი ვინაობა უცნობი გახლდათ. პოლიციამაც დიღმის ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა და მინისტრმა თარგამაძემ კლუბის ახალი პატრონი დაგვისახელა — ოფშორული კომპანია „ჰენზერ პარკ პროპერტი". თარგამაძემ გვამცნო, რომ „დინამოს" ახალმა მფლობელმა უკვე გადაიხადა 6,6 მილიონი ლარი, აქედან სამი მილიონი პოლიციის მიერ ქვეყნის ბიუჯეტიდან კლუბისთვის დახარჯული თანხის ასანაზღაურებლადო. პრესკონფერენციაზე „ჰენზერ პარკ პროპერტის" ბრიტანეთის მოქალაქე პიტერ ბონდი წარმოადგენდა, ვინც მას შემდეგ „დინამოში" აღარავის უნახავს.

პრესკონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე „დინამოდან" გაუშვეს რევაზ არველაძე, რასაც ფეხბურთელთა ბუნტი მოჰყვა, მაგრამ დიღმის ბაზაზე თარგამაძე მივიდა და ყველაფერი მოაგვარა.

## ყველაფერი ამით დამთავრდა?

„დინამოს" ახალი მესვეურები ინტერვიუების დონეზე აცხადებდნენ, ახალმა მფლობელმა ვალდებულება იკისრა, „დინამოს" წელიწადში მინიმუმ ხუთი მილიონი დოლარი დახარჯოს და ინვესტიცია თანდათან გაზარდოსო. მალევე გაირკვა, რომ „დინამოს" პატრონი რუსეთში ფულმოხვეჭილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი გახდა.

2001-02 წლების ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი „დინამომ" მეექვსე ადგილზე ჩაამთავრა, მეორე ეტაპიდან კი მწვრთნელად ხორვატი ივო შუშაკი მიიწვიეს და „დინამომ" სეზონი მესამე ადგილით ჩაამთავრა.

2003 წელს „დინამომ" საქართველოს ჩემპიონობა და თასი დაიბრუნა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის პირველსავე ეტაპზე გამოვარდა ალბანურ „ტირანასთან".

მას შემდეგ „დინამოში" დიდი ინვესტიციების ჩადებაზე ლაპარაკი დასრულდა — ვილას ახსოვს წელიწადში მინიმუმ 5 მილიონი დოლარი?!..

**დავით თავართქილაძე**



ყველასთვის უცნობი პიტერ ბონდი და კახა თარგამაძე პრესკონფერენციაზე



ყველასთვის ნაცნობი ედუარდ შევარდნაძე და კახა თარგამაძე „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე

უეინ რუნიმ ასეთი რამ განაცხადა: ჩვენ ეს სვენ-გორან ერიკსონისა და სამშობლოსათვის უნდა გავაკეთოთ. რაზეა ლაპარაკი? რაზე და მსოფლიო თასზე. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელს სწამს, რომ ინგლისის ნაკრებს გერმანიაში გამარჯვება შეუძლია. და კიდევ, ჩრდილოეთ ირლანდიასთან შესარჩევ შეხვედრაში შელაპარაკების მიუხედავად რუნიმ თქვა, რომ დევიდ ბექემი მისი ახლო მეგობარია

# ფინალში ბრაზილიასთან, რუნის გოლით



AFP

უეინ რუნი და დევიდ ბექემი ახლო მეგობრები არიან

**უეინ რუნი:** „მაქვს შეგრძნება, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ერიკსონის გულისთვის უნდა გავხდეთ. ის დიადი მწვრთნელია. მას ყველა ფეხბურთელი პატივს სცემს და იგიც ასევე პასუხობს, მაგრამ რაც მთავარია, ერიკსონი ყველას ენდობა. ის ჩვენ გვეპყრობა როგორც ნამდვილ პროფესიონალებს, რომელთაც თავად იციან, რა არის მათთვის უკეთესი. ის დიდი სპეციალისტი გახლავთ, რომელსაც ბოლო შეჯიბრებებში არ უმართლებდა. ახლა, იმედი მაქვს, რომ ჩემპიონები გავხდებით და, თუ ამას ვინმე იმსახურებს, უპირველეს ყოვლისა, ეს ერიკსონია“.

თასამდე მიმავალი გზის ბოლომდე გავლის იმედი რუნის განსაკუთრებით მას მერე გაუძლიერდა, რაც წინა პარასკევს, ლაიპციგში გამართულ კენჭისყრის ცერემონიალს უცქირა და გაარკვია, რომ ჯგუფში ინგლისის ნაკრების მეტოქეები იქნებიან პარაგვაი, ტრინიდადი და ტობაგო და შვედეთი.

„ჩვენ გაგვიმართლა და რამდენიმე მართლა ძლიერ გუნდს ავცდით, მაგალითად, ჰოლანდიასა და ჩეხეთს. ერთი სიტყვით, ეჭვი არ მეპარება, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა რეალურად შეგვიძლია. შიშით არც ერთი გუნდის არ გვეშინია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს მსუბუქადაც არ ვუყურებთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყურადღება უკიდურესად უნდა მოვიკრიბოთ. ყველაზე კარგი ის არის, რომ ჩვენ მარშრუტს შეუძლია, ფინალამდე აგვაცილოს ბრაზილია. ჩემთვის იდეალური სცენარი ფინალში ბრაზილიასთან თამაში და გამარჯვების გოლის გატანაა. სავარაუდოდ, დღეს მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ბრაზილიაა და თუ ჩემპიონობა გვინდა, ის უნდა დავამარცხოთ“.

შემდეგ კი ფორვარდმა ინგლისის ნაკრების კაპიტანთან, დევიდ ბექემთან ურთიერთობაზე ისაუბრა.

„დევიდი ჩემი დიდი მეგობარი, შესანიშნავი კაპიტანი და უძლიერესი ფეხბურთელია. მე და მან ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩში მომხდარზე ჯერ გასახდელში, მეორე დღეს კი ტელეფონით ვილაპარაკეთ. ჩვენი გაცეცხლება ერთმანეთისადმი ცუდი დამოკიდებულებით კი არა, მოგების სურვილით იყო განპირობებული. ჩემი და დევიდის ირლანდიური შელაპარაკებისგან იმხელა ამბავი შექმნეს, რომ ძალიან დამწყდა გული, ხოლო რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, იქ გამარჯვება ყველაზე მეტად სწორედ მას სურს, რადგან ყველაზე მეტი უწევს“.

**პაატა ძიძია**

# ჰაიდი ირანელებს არ უჩანდათ
## როცა კანონი კანონია



AFP

**ლაიპციგში** ჩატარებული გერმანიის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრას მოგეხსენებათ, პირდაპირ ეთერში უამრავი ქვეყნის ტელევიზია გადასცემდა, რომელთაც ცხადია, არც ირანის სახელმწიფო არხი ჩამორჩა, მაგრამ...

სწორედ აქ იწყება, რაც იწყება. მშვენიერი ჰაიდი კლუმი ხომ გახსოვთ? აი, ის ქალბატონი, სუპერმოდელი, სექსუალურად რომ იყო გამოწყობილი და საღამო ეშხიანად მიჰყავდა. ჰოდა, როცა ოპერატორთა სამიზნეზე ჰაიდი აღმოჩნდებოდა, ირანის ტელევიზიის მესვეური ეკრანზე შავ ფონს დაადებინებ-ხოლმე აქაოდა, თანამემამულეებს მაცდური დიაცის ცქერით სისხლი ავად არ აუდუღდეთო. ასეა, ირანში მკაცრი შარიათის კანონი მეფობს.

უშუალოდ ფეხბურთს რაც შეეხება, შეგახსენებთ — ირანის ეროვნული გუნდი D ჯგუფში მოხვდა მექსიკასთან, ანგოლასთან და პორტუგალიასთან ერთად.

**ლადო ხომერიკი**

# მორატიმ ბერლუსკონის უპასუხა: სკუდეტო ჩვენი იქნება



მასიმო მორატიმ, დაკარგული არაფერიაო

**მილანში** დერბიში გამარჯვებით აღფრთოვანებულმა „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულაო. შეგახსენებთ, რომ „მილანთან“ გამარჯვებით „ნერაძური“ მეორე ადგილზე გადავიდა და ახლა „იუვენტუსს“ „ფიორენტინასთან“ ერთად 10 ქულით ჩამორჩება.

ეს ერთგვარი პასუხიც გახლდათ „მილანის“ პრეზიდენტისა და იტალიის პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონი სიტყვებზე, რომელმაც თითქოს უკვე ჩაიქნია ხელი სკუდეტოზე, დონ სილვიომ ცოტა ხნის წინ თქვა, „იუვენტუსი“ უკვე ძალიან შორს არისო.

მასიმო მორატი: „ცხოვრებაში და მით უმეტეს, ფეხბურთში ყველაფერს უნდა ელოდო. ტურინელები არც ისე შორს არიან, ანუ ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. ბევრი რამ ჩვენს ხელთაა. რაც შეიძლება, ნაკლები ქულები უნდა დავკარგოთ და პირველ ადგილზე გადასვლის შანსიც აუცილებლად მოგვეცემა“.

„ინტერის“ მფლობელი განსაკუთრებით ადრიანოს თამაშით გაუხარდა, რომელმაც დერბიში ორი გოლი გაიტანა, მათ შორის გამარჯვების და მშვენივრადაც ითამაშა. არადა, ბრაზილიელი ბოლო დროს ვერ იყო ჩვეულ ფორმაში.

„ადრიანოს ცალკეც მივულოცე წარმატება და ვესაუბრე. მინდა, საჯაროდაც გამოვარჩიო მისი თამაში. წარმოიდგინეთ, თუ ასეთ დროს და ასეთ მატჩში შეუძლია ორი გოლის გატანა, რას იზამს, როდესაც ფორმას ბოლომდე აღიდგენს“ — დასძინა მორატიმ.

პარალელურად, იტალიური პრესა საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს მეორე მილანურ კლუბზე, რაც პირდაპირ კავშირშია „ინტერთან“. კერძოდ, საუბარია „ნერაძურის“ ვეტერან ვოლკიპერ ფრანჩესკო ტოლდოს „როსონერიში“ შესაძლო გადასვლაზე.

გავრცელებული ცნობით, „მილანი“ აპირებს, წელს დიდა დაასვენოს, რათა ტრავმები და გადაღლილობა აარიდოს თავიდან და საშუალება მისცეს ბრაზილიელს თავისი ოსტატობა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში გამოავლინოს, ანუ სერია A-ს რიგ მატჩებში „როსონერის“ კარს. ავსტრალიელი ჟელკო კალაჩი დაიცავს. თუ ეს უკანასკნელი სათანადო დონეზე ითამაშებს, ალბათ ზაფხულში ახალ, სამწლიან კონტრაქტსაც გაუფორმებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მილანელები ახალ მეკარეს მოძებნიან და ერთ-ერთ კანდიდატად სწორედ ტოლდო შეუგულებიათ.

თავის მხრივ, ტოლდოს „ინტერიდან“ წასვლის საკითხი დიდი ხანია, გადაწყვეტილია. იგი ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და საერთოდ კარიერის დასრულებაზეც კი ფიქრობს. თუმცა თქვა, თუ კარგი წინადადება მივიღე, კიდევ ვითამაშებო. გამორიცხული არ არის, იგი თავის ყოფილ კლუბ „ფიორენტინაშიც“ დაბრუნდეს.

**კოკი ქანდელაკი**

# კლინსმანმა შიში გაამხილა
## უკრაინა მხოლოდ შევჩენკო ნუ გგონიათ



AFP

იურგენ კლინსმანი კენჭისყრით კმაყოფილია

**„მადლობა** ღმერთს, ჯგუფში უკრაინასთან ერთად რომ არ მოვხვდით. გუნდები უკვე დაწყვილდნენ და ახლა შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე მეტად სწორედ უკრაინის ნაკრებისა მეშინოდა“ — განუცხადა გუშინ გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგს“.

კლინსმანის აზრით, ოლეგ ბლოხინის ნაკრებს ბევრი საშუალო დონის გუნდად მიიჩნევს, არადა, ხლავებმა მუნდიალის შესარჩევი ეტაპი ბრწყინვალედ ჩაატარეს.

„რამდენჯერმე მინახავს მათი თამაში და გარწმუნებთ, უკრაინას მსოფლიოს ნებისმიერი ნაკრების გამწარება შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, ბლოხინმა და კომპანიამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური სხვებზე პირველად გაინაღდეს“. ბუნდესნაკრების მწვრთნელმა მერე ისიც თქვა, უკრაინას ჰოლანდიაზე წინ დავაყენებდი და საერთოდ, ვინც ამბობს, რომ უკრაინა მხოლოდ შევჩენკოა, ფეხბურთის ანბანა არ ესმისო.

მოკლედ, ახლა იურგენ კლინსმანი მუნდიალისწინა ამხანაგურ შეხვედრებზე ფიქრობს: „რადგან ჯგუფში ჩვენი მეტოქე ეკვადორი იქნება, ვეცდები, სპარინგ-პარტნიორად რომელიმე სამხრეთამერიკული გუნდი შევარჩიო“.

ეკვადორის გამო შეფიქრიანებული მწვრთნელი კი ფეხბურთელ ჟუან დაუმშვიდებია, „ლევერკუზენის“ ბრაზილიელ მცველს „კლინსისთვის“ უთქვამს, ეკვადორელები მაშინ არიან მაგრები, როცა შინ, მთაში, ცაში გამოკიდულ სტადიონზე თამაშობენ, თორემ ისე, ამ გუნდს ძალიან სუსტი ეთქმისო.

**ლადო ხომერიკი**



ხავიერ აგირე „სევილიას“ შანსებს რეალურად აფასებს

# აგირე ილუზიებს არ იქმნის

**ხავიერ აგირემ,** პამპლონის „ოსასუნას“ მწვრთნელმა მედიასთან საუბარში თქვა, მადრიდის „რეალთან“ თამაში ძალიან ძნელი იქნებაო.

„რაც ესპანური პრიმერადივიზიონი არსებობს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მარტო ორჯერ თუ მოგვიგია. ამიტომაც მადრიდში ფუჭ ილუზიებს არ ავყვებით და არამც და არამც არ ვიტყვით — აუცილებლად გავიმარჯვებთ, ან რაღაც ამდაგვარს“ — განუცხადა „მარკას“ მექსიკელმა სპეციალისტმა.

„ოსასუნა“ ახლა 34 ქულით „ბარსელონასთან“ ერთად ლიდერობს პრიმერადივიზიონს, თუმც ნავარელთა მწვრთნელს თავდაჯერებულობა არ ეტყობა.

„რეალმა“ კრიზისული პერიოდი უკან მოიტოვა. გუნდი ახლა მესამე ადგილზეა, მწვრთნელი ცოტა ხნის წინ შეუცვალეს და, ცხადია, „გალაქტიკოსები“ „ბერნაბეუზე“ თავგამოდებით იბრძოლებენ“ — დასძენს აგირე.

„მარკა“ გამოცდილ სპეციალისტს „სამეფო გუნდის“ ძველ და ახალ დამრიგებლებზე, ვანდერლეი ლუშემბურგოზე და ხუან რამონ ლოპეს კაროზეც დაეკითხა.

„ლუშემბურგო ჩემი ახლო მეგობარია, ამიტომაც მის შეფასებაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სავარაუდოდ, ახალი მწვრთნელის მოსვლასთან ერთად გუნდის ტაქტიკაც შეიცვლება“ — უპასუხა მწვრთნელმა.

„რეალი“ — „ოსასუნა“ კი კვირას გაიმართება.

**ლადო ხომერიკი**

# კუბალას მემკვიდრეები
## შენ ყველას სჯობიხარ, რონი





ფრანკ რაიკარდი და რონალდინიო „ბარსელონას“ ისტორიაში შევიდნენ

**ფრანკ რაიკარდის** „ბარსელონა“ ისტორიაში შევიდა. კვირას, როცა რაიკარდის შეგირდებმა ესპანური პრიმერას მატჩში „სევილია“ 2:1 დაამარცხეს, ორმოცდაათიანი წლების ლეგენდარული „ბარსას“ რეკორდს გაუტოლდნენ — მაშინ, 1955-1956 წლების სეზონში, ლადისლაო კუბალას მიერ დამოძღვრილმა კატალონიურმა გრანდმა ზედიზედ თერთმეტი გამარჯვება მოიპოვა, 10 ესპანეთის ჩემპიონატში და ერთიც ბაზრობათა თასზე. რაიკარდის „ბარსელონასაც“ ასევე მიჯრით 11 ფიესტა აქვს — რვა პრიმერადივიზიონში და სამი ჩემპიონთა ლიგაში.

ესპანეთში, საფეხბურთო საქმეში ჭიპმოჭრილმა ხალხმა დიდი კუბალას მემკვიდრედ სწორედ „ბარსას“ დღევანდელი ვარსკვლავი რონალდინიო დაასახელა.

„კამპ ნოუზე“ იოჰან კრუიფიც ყოფილა და დიეგო მარადონაც, მაგრამ კუბალას სიჩაუქეს ყველაზე მეტად კიჭა ბრაზილიელის ოსტატობა მიესადაგებაო — ვკითხულობთ გუშინდელ „ასში“.

საინტერესოა, რომ ორმოცდაათი წლის წინანდელი „ბარსელონა“ სწორედ იმ თერთმეტ გამარჯვებაზე „გაჩერდა“, ახლა კი, ვნახოთ, თანამედროვეები სადამდე მივლენ.

შეგახსენებთ, „ბარსელონას“ მომდევნო მეტოქე შინაურ პრიმერაში ანდალუზიური „კადისია“.

**ლადო ხომერიკი**

# ჰარის დაბრუნება ჩამწარდა

## ინგლისი

პრემიერლიგა

XVI ტური

**ტოტენჰემი 3:1 პორტსმუთი**

0:1 ლუა ლუა (24), 1:1 კინგი (57), 2:1 მიდო (85პ), 3:1 დეფო (90)

**ტოტენჰემი:** პ. რობინსონი, სტალტერი, დოუსონი, კინგი, ლი, ჯენასი, კარიკი, დავიდსი, ტაინიო (რუტლეჯი 40; ე. რიდი 83), რობი კინი (დეფო 69), მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

**პორტსმუთი:** ეშდოუნი, პრიმუსი, ე. ობრაიენი, სტეფანოვიჩი, გრიფინი, გ. ონილი, ვიაფარა, ბ. მიუზი, მ. ტეილორი (რობერი 86), პერიკარი, ლუა ლუა

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

მსაჯი: რენიე

36 141 მაყურებელი



AFP ლონდონი

ჯერმენ დეფომ (მარცხნივ) ბოლო გოლი შეაგდო

**უიღბლო** გამოდგა ჰარი რედნაპის დაბრუნება „პორტსმუთის“ სათავეში. სადებიუტო თამაშში ჰარის გუნდს „ტოტენჰემმა“ მოუგო, თუმცა, ყოველივე მსაჯ იურაი რენიეს ბრალია, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც ამ მატჩის ბედი.

თავიდან „პორტსმუთი“ იგებდა ლომანა-ტრეზორ ლუა ლუას ლამაზი გოლით, მერე ლედლი კინგმა გაათანაბრა და თამაშიც ფრისკენ მიდიოდა, რომ არა მსაჯი რენიე, რომელმაც გამოგონილი პენალტი დანიშნა.

ენდი რიდის მიერ ჯარიმიდან დარტყმული ბურთით იდაყვში მოხვდა ცოცხალ კედელში მდგომ გარი ონილს, ყველამ დაინახა, რომ ეს შემთხვევითობა იყო, თუმცა რენიემ პენალტი მაინც დანიშნა და მიდომაც ის გამოიყენა. გულგატეხილმა პორტსმუთელებმა ბოლო წუთზე მესამე გოლიც გაუშვეს.

„გარის მკლავი არ შეუშვერია — ამბობდა რედნაპი — ასში ერთს თუ დაღებ ასეთ პენალტს. მსაჯის დიდი შეცდომა სამ ქულად დაგვიჯდა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 16 | 14 | 1 | 1 | 35:7 | 43 |
| ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 20:8 | 31 |
| მანჩესტერი | 15 | 9 | 4 | 2 | 25:14 | 31 |
| ტოტენჰემი | 16 | 8 | 6 | 2 | 22:13 | 30 |
| ბოლტონი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:14 | 27 |
| არსენალი | 15 | 8 | 2 | 5 | 22:13 | 26 |
| უიგანი | 15 | 8 | 1 | 6 | 16:14 | 25 |
| სიტი | 16 | 7 | 3 | 6 | 19:15 | 24 |
| ვესტ ჰემი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:16 | 22 |
| ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 14:15 | 22 |
| ჩარლტონი | 15 | 7 | 1 | 7 | 21:23 | 22 |
| ბლექბერნი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:22 | 21 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 20:23 | 19 |
| ასტონ ვილა | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | 17 |
| ევერტონი | 15 | 5 | 2 | 8 | 8:17 | 17 |
| ფულემი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:21 | 16 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:24 | 16 |
| ბირმინგემი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:19 | 12 |
| პორტსმუთი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:26 | 10 |
| სანდერლენდი | 17 | 1 | 2 | 14 | 14:35 | 5 |

## ჰოლანდია

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

აპელდორნი — გრააფსხაპი 2:2; დენ ბოსხი — კამბური 2:0; ეინდჰოვენი — ემენი 2:1; ვოლენდამი — ოსი 1:2; იგლსი — ვენლო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 22 | 14 | 4 | 4 | 43:13 | 46 |
| ვენლო | 22 | 13 | 6 | 3 | 33:12 | 45 |
| ემენი | 22 | 13 | 3 | 6 | 46:26 | 42 |
| ზვოლე | 22 | 11 | 6 | 5 | 41:27 | 39 |
| ვოლენდამი | 22 | 11 | 6 | 5 | 35:22 | 39 |
| დენ ბოსხი | 22 | 10 | 8 | 4 | 41:30 | 38 |
| ჰელმონდი | 21 | 11 | 3 | 7 | 33:33 | 36 |
| გრააფსხაპი | 22 | 9 | 6 | 7 | 32:27 | 33 |
| მაასტრიხტი | 22 | 8 | 7 | 7 | 31:28 | 31 |
| აპელდორნი | 22 | 9 | 3 | 10 | 41:38 | 30 |
| დორდრეხტი | 22 | 7 | 8 | 7 | 27:25 | 29 |
| ოსი | 22 | 7 | 7 | 8 | 28:35 | 28 |
| ვეენდამი | 22 | 7 | 6 | 9 | 27:29 | 27 |
| ჰაარლემი | 22 | 7 | 5 | 10 | 25:41 | 26 |
| იგლსი | 22 | 6 | 7 | 9 | 27:36 | 25 |
| ტელსტარი | 22 | 5 | 7 | 10 | 18:31 | 22 |
| ეინდჰოვენი | 21 | 5 | 4 | 12 | 29:35 | 19 |
| კამბური | 22 | 3 | 9 | 10 | 19:33 | 18 |
| ალმერე | 22 | 3 | 6 | 13 | 24:50 | 15 |
| სიტარდი | 22 | 1 | 7 | 14 | 21:50 | 10 |

## იტალია

სერია B

XIX ტური

**მოდენა 4:1 ბარი**

1:0 ტიში (8), 2:0 ბუკი (38), 2:1 სანტორუვო (55), 3:1 გრაფიედი (89), 4:1 ბუკი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 19 | 11 | 8 | 0 | 25:10 | 41 |
| კატანია | 19 | 10 | 6 | 3 | 28:20 | 36 |
| ტორინო | 19 | 10 | 5 | 4 | 20:12 | 35 |
| ატალანტა | 19 | 11 | 1 | 7 | 27:21 | 34 |
| ჩეზენა | 19 | 9 | 5 | 5 | 29:20 | 32 |
| მოდენა | 19 | 7 | 9 | 3 | 27:17 | 30 |
| ბრეშა | 19 | 7 | 9 | 3 | 23:16 | 30 |
| არეცო | 19 | 7 | 8 | 4 | 22:15 | 29 |
| ვერონა | 19 | 7 | 8 | 4 | 21:14 | 29 |
| პიაჩენცა | 19 | 6 | 8 | 5 | 26:22 | 26 |
| რიმინი | 19 | 7 | 5 | 7 | 24:23 | 26 |
| პესკარა | 19 | 7 | 5 | 7 | 22:21 | 26 |
| ტრიესტინა | 19 | 7 | 5 | 7 | 19:21 | 26 |
| კროტონე | 19 | 6 | 6 | 7 | 17:18 | 24 |
| ვიჩენცა | 19 | 6 | 5 | 8 | 21:26 | 23 |
| ბარი | 19 | 5 | 7 | 7 | 20:23 | 22 |
| ბოლონია | 19 | 4 | 9 | 6 | 21:24 | 21 |
| ტერნანა | 19 | 4 | 7 | 8 | 14:26 | 19 |
| ალბინოლეფე | 19 | 2 | 8 | 9 | 12:22 | 14 |
| აველინო | 19 | 3 | 5 | 11 | 16:33 | 14 |
| კატანძარო | 19 | 2 | 5 | 12 | 11:26 | 11 |
| კრემონეზე | 19 | 2 | 4 | 13 | 14:29 | 10 |

## ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი

XVI ტური

**მალაგა B 0:1 ლეიდა**

0:1 ბილიჩი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელვა | 16 | 9 | 5 | 2 | 28:15 | 32 |
| ხერესი | 16 | 9 | 5 | 2 | 27:16 | 32 |
| ვალიადოლიდი | 16 | 7 | 7 | 2 | 21:13 | 28 |
| ლევანტე | 16 | 8 | 3 | 5 | 24:19 | 27 |
| ელჩე | 16 | 8 | 3 | 5 | 22:20 | 27 |
| სპორტინგი | 16 | 7 | 5 | 4 | 22:15 | 26 |
| ალმერია | 16 | 7 | 4 | 5 | 23:16 | 25 |
| მურსია | 16 | 7 | 4 | 5 | 18:14 | 25 |
| ერკულესი | 16 | 6 | 6 | 4 | 22:21 | 24 |
| ხიმნასტიკი | 16 | 7 | 1 | 8 | 16:19 | 22 |
| სიუდად მურსია | 16 | 6 | 4 | 6 | 18:24 | 22 |
| რეალი B | 16 | 6 | 3 | 7 | 25:19 | 21 |
| ლორკა | 16 | 5 | 5 | 6 | 16:15 | 20 |
| ტენერიფე | 16 | 5 | 4 | 7 | 19:25 | 19 |
| ალბასეტე | 16 | 5 | 4 | 7 | 16:23 | 19 |
| მალაგა B | 16 | 4 | 5 | 7 | 12:15 | 17 |
| პოლი ეხიდო | 16 | 5 | 2 | 9 | 17:23 | 17 |
| ნუმანსია | 16 | 4 | 5 | 7 | 14:25 | 17 |
| ეიბარი | 16 | 3 | 7 | 6 | 13:16 | 16 |
| ლეიდა | 16 | 5 | 1 | 10 | 17:21 | 16 |
| ფეროლი | 16 | 3 | 7 | 6 | 17:23 | 16 |
| კასტელიონი | 16 | 2 | 6 | 8 | 10:20 | 12 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

**სეტუბალი 1:0 ბელენენსეში**

1:0 აური (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 9 | 4 | 1 | 23:9 | 31 |
| ნასიონალი | 14 | 9 | 3 | 2 | 17:6 | 30 |
| სეტუბალი | 14 | 9 | 2 | 3 | 12:3 | 29 |
| ბრაგა | 14 | 8 | 2 | 4 | 13:7 | 26 |
| ბენფიკა | 14 | 7 | 4 | 3 | 21:12 | 25 |
| სპორტინგი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:16 | 24 |
| ბოავიშტა | 14 | 5 | 7 | 2 | 20:13 | 22 |
| ფერეირა | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 21 |
| აკადემიკა | 14 | 5 | 3 | 6 | 14:18 | 18 |
| რიუ ავე | 14 | 4 | 5 | 5 | 19:21 | 17 |
| ამადორა | 14 | 4 | 4 | 6 | 10:13 | 16 |
| მარიტიმუ | 14 | 3 | 6 | 5 | 15:17 | 15 |
| ლეირია | 14 | 4 | 3 | 7 | 16:19 | 15 |
| ბელენენსეში | 14 | 4 | 2 | 8 | 14:17 | 14 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 4 | 2 | 8 | 11:17 | 14 |
| გიმარაეში | 14 | 4 | 1 | 9 | 8:20 | 13 |
| ნავალი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:23 | 11 |
| პენაფიელი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:23 | 7 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XVI ტური

**ფრაიბურგი 0:2 ალემანია**

0:1 პინტუ (2), 0:2 შლაუდრაფი (10)

**ფრაიბურგი:** ვალკე, იბერცბერგერი, ოლაიენგბეში (ჰანსენი 46), მოჰამადი, აოგო, ს. რიტერი, ანტარი (კრუპკე 71), ს. კულიბალი, კუჯუ, იაშვილი, ტანკო (სანუ 71)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 16 | 9 | 3 | 4 | 28:22 | 30 |
| ალემანია | 16 | 9 | 2 | 5 | 31:20 | 29 |
| ბოხუმი | 16 | 8 | 5 | 3 | 27:17 | 29 |
| მიუნხენი | 16 | 8 | 4 | 4 | 24:17 | 28 |
| კარლსრუე | 16 | 8 | 3 | 5 | 23:18 | 27 |
| კოტბუსი | 16 | 7 | 4 | 5 | 27:21 | 25 |
| 12301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 2.00 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13286 | მონაკო-ცსკა(ბულ) | 1.90 | 1.70 |
| 13287 | პაოკ-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13288 | შტუტგარტი-რაპიდი(ბ) | 1.90 | 1.70 |
| 13289 | გიმარაეში-ბეშიქთაში | 1.70 | 1.90 |
| 13290 | ბოლტონი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13291 | პალერმო-ბრიონდბიუ | 1.70 | 1.90 |
| 13292 | მიდლსბრო-ლიტექსი | 1.90 | 1.70 |
| 13293 | სტრასბური-ცრვენა ზვეზდა | 1.70 | 1.90 |
| 13294 | რომა-ბაზელი | 1.90 | 1.70 |
| 13295 | ჰერენვენი-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 13296 | მარსელი-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 13297 | ჰამბურგი-სლავია | 1.90 | 1.70 |
| 13299 | ჰერტა-სტიაუა | 1.90 | 1.70 |
| 13300 | ლანსი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 1.90 | 1.70 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17286 | მონაკო-ცსკა(ბულ) | 1.85 | 1.95 |
| 17287 | პაოკ-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17288 | შტუტგარტი-რაპიდი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17289 | გიმარაეში-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |
| 17290 | ბოლტონი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17291 | პალერმო-ბრიონდბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17292 | მიდლსბრო-ლიტექსი | 1.85 | 1.95 |
| 17293 | სტრასბური-ცრვენა ზვეზდა | 1.85 | 1.95 |
| 17294 | რომა-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17295 | ჰერენვენი-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17296 | მარსელი-დინამო(ბქ) | 1.85 | 1.95 |
| 17297 | ჰამბურგი-სლავია | 1.85 | 1.95 |
| 17298 | ესპანიოლი-მაკაბი(ფთ) | 1.85 | 1.95 |
| 17299 | ჰერტა-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17300 | ლანსი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14286 | მონაკო-ცსკა(ბულ) | 1.25 | 2.50 |
| 14287 | პაოკ-რენი | 1.60 | 2.20 |
| 14288 | შტუტგარტი-რაპიდი(ბ) | 1.25 | 2.50 |
| 14289 | გიმარაეში-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |
| 14290 | ბოლტონი-სევილია | 1.60 | 2.20 |
| 14291 | პალერმო-ბრიონდბიუ | 1.30 | 2.50 |
| 14292 | მიდლსბრო-ლიტექსი | 1.15 | 2.50 |
| 14293 | სტრასბური-ცრვენა ზვეზდა | 2.10 | 1.65 |
| 14294 | რომა-ბაზელი | 1.25 | 2.50 |
| 14295 | ჰერენვენი-ლევსკი | 1.15 | 2.50 |
| 14296 | მარსელი-დინამო(ბქ) | 1.60 | 2.30 |
| 14297 | ჰამბურგი-სლავია | 1.20 | 2.40 |
| 14299 | ჰერტა-სტიაუა | 1.25 | 2.50 |
| 14300 | ლანსი-სამპდორია | 1.70 | 2.20 |
| 14301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 1.15 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15286 | მონაკო-ცსკა(ბულ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15287 | პაოკ-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15288 | შტუტგარტი-რაპიდი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15289 | გიმარაეში-ბეშიქთაში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15290 | ბოლტონი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | პალერმო-ბრიონდბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15292 | მიდლსბრო-ლიტექსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | სტრასბური-ცრვენა ზვეზდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | რომა-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15295 | ჰერენვენი-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | მარსელი-დინამო(ბქ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | ჰამბურგი-სლავია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | ესპანიოლი-მაკაბი(ფთ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | ჰერტა-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | ლანსი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |


## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11286 | მონაკო-ცსკა(ბულ) | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11287 | პაოკ-რენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11288 | შტუტგარტი-რაპიდი(ბ) | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11289 | გიმარაეში-ბეშიქთაში | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11290 | ბოლტონი-სევილია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11291 | პალერმო-ბრიონდბიუ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11292 | მიდლსბრო-ლიტექსი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11293 | სტრასბური-ცრვენა ზვეზდა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11294 | რომა-ბაზელი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11295 | ჰერენვენი-ლევსკი | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11296 | მარსელი-დინამო(ბქ) | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11297 | ჰამბურგი-სლავია | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11299 | ჰერტა-სტიაუა | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11300 | ლანსი-სამპდორია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

# ლიდერებს დღევანდელი კვერცხი არ უნდათ

## ავიამშენი და ნიკორა პლეი ოფში იყურებიან

**დაახლოებით** წლინახევრის წინ „სტუ-ჯეოსელი" რუსთავში „აზოტთან" სათამაშოდ არ ჩავიდა, რის გამოც, ცხადია, წაგება ჩაეთვალა და ცხრილში ქულა არ შემატებია. ამით ტექნიკოსებმა იმ დროს ფავორიტი „დინამო" ნახევარფინალში აიცილეს და, მათი ჭკუით, შედარებით სუსტ „ბასკოს" შეხვდნენ. ის ნახევარფინალი სტუ-მ წააგო, „ბასკო" კი ჩემპიონი გახდა...

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ არასასურველი მეტოქის თავიდან აცილების ტენდენციები ახლაც შეინიშნება. დღეს ჩემპიონატის ლიდერები, „თსუ-ნიკორა" და „ავიამშენი" ხვდებიან ერთმანეთს და, როგორც გუშინდელმა პრესკონფერენციამ მიგვანიშნა, გამარჯვებისთვის არც ერთი მათგანი თავს არ იკლავს.

*ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის" მთავარი მწვრთნელი:*

— ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად არ მოვმზადებულვართ, მივიჩნევთ, რომ ეს არის ერთ-ერთი რიგითი, კალენდარული მატჩი. მთავარი რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვება კი არა, პლეი ოფში წარმატებაა. ეს თამაშები ბევრს არაფერს წყვეტს, ჩვენი გუნდიცა და „თსუ-ნიკორაც" პლეი ოფში გავლენ და აი, ის თამაშები იქნება მთავარი. თანაც, რეგულარული ჩემპიონატის მოგებას, ვინძლო, მეორე ადგილზე გასვლა სჯობდეს, რადგან მეოთხე ადგილზე, სავარაუდოდ, „აზოტი" გავა, ხოლო რუსთავში თამაში არავისთვის არის გასეირნება...



მამუკა ტურაშვილი

გუგა ფოლიკაშვილის ფოტოები



ლევან მოსეშვილი

*დაახლოებით იგივე თქვა „თსუ-ნიკორას" თავკაცმა **მამუკა ტურაშვილმაც**:*

— მთავარი პლეი ოფის მატჩებია. ახლა დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გაიმარჯვებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგება გვინდა, ამ ჩემპიონატში წაუგებელი სერია რომ გავაგრძელოთ. სამწუხაროდ, ვერ დაგვეხმარება მიხეილ ბერიშვილი, რომელიც მენისკის ოპერაციას იკეთებს. მიხეილ ფანჩულიძემ ტრავმა თითქმის მოიშუშა და თუ ითამაშა, ალბათ, მთლიანად ვერ დავტვირთავთ.

ავიატორებს უფრო მეტი დაშავებული ჰყავთ. მოსეშვილის თქმით, ვერ ითამაშებს ბუბა ბერიშვილი, ხოლო ნიკა ჩხარტიშვილსა და ირაკლი ხოშტარიას მცირე ტრავმები აწუხებთ და გამოვლენ თუ არა მოედანზე, ჯერ არ ვიცით.

***ხოშტარია** პრესკონფერენციას ესწრებოდა და თავისი აზრიც დააფიქსირა დღევანდელი მატჩის შესახებ:*

— მეტოქე ძალიან ძლიერი და დაბალანსებულია. მართალია, სეზონის წინ შეავსეს შემადგენლობა, მაგრამ უკვე საკმაოდ შეთამაშდნენ. ჩვენ უფრო წინ ვიყურებით. ხვალინდელი მატჩი კი მოთელვასავით იქნება ჩვენი გუნდების მომავალ ჯახებამდე.

*თსუ-ს კაპიტანმა **ირაკლი მაისურაძემაც** შეაქო მეტოქე:*

— „ავიამშენის" ყველა მოთამაშე ძალიან გამოცდილია და პირადად შეუძლია თამაშის მოგება, თუმც ხოშტარიას და გიორგი მარკოიშვილს გამოვარჩევდი. ორივე გუნდს ჩემპიონობა სურს და ბრძოლაც საინტერესო უნდა გამოვიდეს.

**ირაკლი პერტაია**

# არამ, მინესოტა არაო

## ცქიტიშვილი მგლებს აუმხედრდა



ნიკა ცქიტიშვილი „მინესოტას" სკამზე მყარად ზის

**როგორც** ნბა-ს ყველა აქამდელი გუნდის უფროსობას, ნიკა ცქიტიშვილი მინესოტელებსაც აუმხედრდა, უთამაშებლობა ყელში ამომივიდა და ან მოედანზე გამიყვანეთ, ანაც გამცვალეთო.

„სკიტას" მოთმინების ფიალა 17 უთამაშებელი მატჩის შემდეგ აევსო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველს „მინესოტას" მაისურით რეგულარულ ჩემპიონატში ჯერ არ უბურთავია. სამი დღის წინ ის დაშავებულთა სიიდან ტროი ჰადსონის ტრავმიანობის გამო ამოწერეს და განაცხადში ჩასვეს, თუმც „პორტლენდთან" მატჩს ნიკამ კვლავ სათადარიგო სკამიდან უყურა. ეს იყო და, ცქიტიშვილმა ხმა აიმაღლა, პარასკევის ვარჯიშის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა:

„ეს არაა ჩემი სადებიუტო სეზონი. აქ სკამზე დასაჯდომად მომიყვანეს? როცა „მინესოტაში" მოვდიოდი, ვფიქრობდი, რომ შანსს მომცემდნენ, მაგრამ ჯერ ერთი წუთით არ მითამაშია. იმედი მაქვს, ასე აღარ გაგრძელდება, თუ არადა, გუნდიდან პირველი შესაძლებლობებისთანავე წავალ".

გუნდის მწვრთნელმა კი ქართველის ამ ბრაზიან სიტყვებს მშვიდად უპასუხა პრესითვე:

„მხოლოდ იმიტომ, რომ კალათბურთელი ბედნიერად ვერ გრძნობს თავს უთამაშებლობის გამო და წასვლას ითხოვს, გუნდიდან არ უნდა გაუშვა. არავის, თვით კევინ გარნეტს, ანაც რიჩი ფრამს და „სკიტას", არაფერი მიეცემათ დაუმსახურებლად. ესაა ჩვენი გუნდის მარტივი ფილოსოფია. თუ კაცი იმსახურებს სათამაშო დროს, დაგვიმტკიცოს და ის იოლად და ყოველგვარი დამადლების გარეშე გავა მოედანზე" — ძნელია, დუეინ კეისის ამ სიტყვებს არ დაეთანხმო.

„სკიტა" კი ფიქრობს, რომ თავისი ძალა სეზონისწინა და საგამოფენო მატჩებში გამოაჩინა. ნიკამ მართლაც ქებული მატჩები ჩაატარა ამ ზაფხულსა და შემოდგომაზე, მაგრამ ოფიციალური შეხვედრები სულ სხვაა.

„მინესოტამ" უხეიროდ დაიწყო ჩემპიონატი, თუმც ამ ბოლო დროს მოგებებსაც დაეჩვია და ჩრდილოდივიზიონში ლიდერობს. ასეთ დროს, როცა გუნდმა თამაში იპოვა, მწვრთნელი შემადგენლობას, ჩვეულებრივ არ ცვლის, მით უფრო, როცა კალათბურთელი პრეტენზიებს ხმამაღლა გამოთქვამს.

„მინესოტას" ცქიტიშვილის ამპლუის არაერთი ძლიერი მოთამაშე ჰყავს, რომელთაგან ყველაზე სუსტი ედი გრიფინიც კი კარგად ირჯება.

„მე არ ვამბობ, რომ გრიფინი უნდა დასვან და მე მათამაშონ — ამბობს ცქიტიშვილი თავის ოპონენტზე — ედი კარგი კალათბურთელია, გუნდიც წარმატებით თამაშობს, მაგრამ მეც ხომ უნდა მომცენ შანსი. მეოთხე წელიწადია, ნბაში ვარ და რომ არ მათამაშებენ, ამით გარკვეულ უპატივცემულობას გამოხატავენ ჩემს მიმართ".

„ის, რომ „სკიტას" არ ათამაშებენ, საკმარის საფუძველს იძლევა, რომ მხარეებმა კონტრაქტს გადახედონ — ამბობს ცქიტიშვილის მენეჯერი არა ვართანიანი — ის ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კალათბურთელია და საგამოფენო მატჩებიც კარგად ჩაატარა. მას მსურველი აუცილებლად გამოუჩნდება, თუ მინესოტელები მის გაშვებას დათანხმდებიან".

ისე, ცქიტიშვილი ცაიტნოტშია — ნბა-ს კანონებით, კლუბში ამ ზაფხულს მისულ მოთამაშეებს გუნდის გამოცვლის ბოლო ვადად 15 დეკემბერი აქვთ დათქმული.

ვნახოთ...

**ირაკლი პერტაია**

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# როქი ფლორიდულად




პატ რაილი დიდხანს ეხვეწა სტენ ვან განდის, დარჩი-დარჩიო, მაგრამ...

**პატ** რაილიმ ორი წელი დაისვენა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ისევ მოუწევს უღელში თავის გაყოფა. ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი უგამოჩენილესი მწვრთნელი, იძულებით უბრუნდება იმ საქმეს, რომელმაც მისი სახელი მსოფლიოს გააცნო.

„მაიამი ჰითის" აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა სტენ ვან განდიმ ოჯახური პრობლემების გამო ორი დღის წინ უარი თქვა მწვრთნელობაზე და კლუბში შედარებით მშვიდ თანამდებობაზე გადაყვანა ითხოვა. „ჰითის" პრეზიდენტ პატ რაილის სხვა რა გზა აქვს, მისგან უნდა გადაიბაროს გუნდი.

სხვათა შორის, ზუსტად ორი წლის წინ მწვრთნელობაში დაღლილმა და თანაც კლუბის პრეზიდენტმა რაილიმ „მაიამი" თავის პირველ ასისტენტ სტენ ვან განდის ჩააბარა და არასდროს უნანია ეს. ერთი, რომ ნბა-ს გუნდის მწვრთნელის გიჟური ცხოვრებისგან დაისვენა და მეორე — სტენმა მშვენივრად გაართვა თავი საქმეს და უკეთესადაც კი გაუძღვა პატმასწავლებლის საქმეს. 2003-04 წლების სეზონში მან „მაიამი" აღმოსავლეთში საპატიო მეოთხე ადგილზე გაიყვანა და პლეი ოფშიც ერთი სერია მოაგებინა, მომდევნო ანუ დღევანდელი გადმოსახედიდან წინა სეზონში კი რაილიმ მას შაკილ ონილი „უყიდა", „მაიამიმაც" რეგულარულში აღმოსავლეთში ყველა დაჩაგრა და პლეი ოფში სულ ცოტა დააკლდა ფინალში გასასვლელად.

მოკლედ, სამხრეთ ფლორიდაში სტენ ვან განდს არავინ ემდუროდა, მაგრამ მან თავისით გადაწყვიტა წასვლა. როგორც ირკვევა, ვან განდი უკვე ამ სეზონის დაწყებამდე აპირებდა გადადგომას, რაილიმ თითქოს დაიყოლია დარჩენაზე, მაგრამ სტენმა მხოლოდ ექვსი კვირა გაძლო.

**კოტე ყორშია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ლეიკერსელ კობი ბრაიანტს დალასელი დიჯეი მბენგა უფარებს

# ოდომის თეორია, ბრაიანტის პრაქტიკა

12 დეკემბერი

**ფილადელფია 90:89 მინესოტა**

*ძირითადი დრო 85:85*

ფილადელფია: ვებერი (27 ქულა, 21 მოხსნა), აივერსონი (19 ქულა, 10 პასი), კორვერი (13)

მინესოტა: შჩერბიაკი (23), გარნეტი (19), იარიჩი (14 ქულა, 10 პასი)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ნიუ იორკი 92:112 მილუოკი**

ნიუ იორკი: ფრაი (30), რობინსონი (15), კარი (15)

მილუოკი: რედი (31), გაძურიჩი (18), უილიამსი (15)

**დალასი 106:109 ლეიკერსი**

დალასი: ნოვიცკი (27 ქულა, 15 მოხსნა), დანიელსი (23), ტერი (20)

ლეიკერსი: ბრაიანტი (43), ოდომი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**იუტა 92:78 დეტროიტი**

იუტა: ოქური (24 ქულა, 12 მოხსნა), კირილენკო (22 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება)

დეტროიტი: ჰამილტონი (16), რ. ვოლესი (16), ბილაფსი (14)

**ფინიქსი 87:91 ნიუ ორლეანი**

ფინიქსი: ბელი (24), ნეში (14 ქულა, 16 პასი), მარიონი (12 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ ორლეანი: სმიტი (26 ქულა, 10 მოხსნა), მეისონი (22), პოლი (19)

**„ლეიკერსის“** ფორვარდი ლამარ ოდომს საკუთარი თეორია აქვს თანაგუნდელი კობი ბრაიანტის თამაშის ყაიდის შესახებ: — „ძნელია, კაცმა ცდუნებას გაუძლო და ტყორცნებისგან თავი შეიკავო, როდესაც ნებისმიერი წერტილიდან შეგიძლია ჩაგდება“.

ბრაიანტს ქვეყანა აკრიტიკებს სპორტული „ძუნწობისთვის“, ძალიან ბევრ მოუმზადებელ და უაზრო ბურთის ტყორცნის, რაციონალური თამაში ვერ ისწავლაო. მაგრამ ოდომს და თუ დავუჯერებთ, კობის მოედანზე არაფერი ეშლება.

„დალასთან“ შეხვედრაში ბრაიანტმა თამაშიდან 33-ჯერ ტყორცნა და მართალია, ნახევარზე მეტი ააცილა, მაგრამ 43 ქულას მაინც მოუყარა თავი და სეზონში მეოთხედ ასცდა 40-ქულიან თამასას. კობი ისე „გათავხედდა“, რომ 10 მეტრიდანაც კი სტყორცნა მაშინ, როდესაც დამთავრებამდე წუთიღა რჩებოდა და მატჩის სასწორი აქეთ-იქით ქანაობდა. ჩააგდო კიდეც და „ლეიკერსმა“ ძლიერი მეტოქე მისსავე დარბაზში დაამარცხა.

ამ მარცხით „დალასს“ ზედიზედ გამარჯვებათა ხუთმატჩა ჯაჭვი გაუწყდა, ხოლო „ლეიკერსმა“ ბოლო ექვს თამაშში მეხუთე მოიგო და საცხრილო ბალანსი დადებით მხარეს გადახარა.

მიყოლებით ექვსი გამარჯვების შემდეგ მარცხის სიმწარე შეიგრძნო ჩემპიონმა „დეტროიტმა“, ვისაც კოჭლმა „იუტამ“ ორი ევროპელის მარიფათის წყალობით აჯობა — რუსმა ანდრეი კირილენკომ და თურქმა მეჰმედ ოქურმა ჯამში 46 ქულა, 24 მოხსნა, 10 პასი და 6 დაფარება გააკეთეს და აშკარად დაჯაბნეს ჩემპიონთა მეფარეები — ტაიშონ პრინსი, რაშიდ ვოლესი და ამის მოგვარე ბენჯამინი. „დეტროიტმა“ სეზონში მხოლოდ მესამედ წააგო და მაინც შეინარჩუნა ლიგაში საუკეთესო შედეგი.

კიდევ ერთ ბობოლა გუნდ „ფინიქსს“ მიჯრით ხუთი მოგების შემდეგ მოულოდნელი მარცხი აგემა „ნიუ ორლეანმა“, რომელმაც სტივ ნეშს და კომპანიას ბოლო მეოთხედი 25:18 მოუგო და, შეიძლება ითქვას, ჯიბიდან ამოაცალა მორიგი გამარჯვება.

**ძოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

**ნახევარფინალი**

| | | |
|---|---|---|
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | (0,5:0,5) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) (1:1) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | (1:0) | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) (1,5:0,5) |

# არონიანი ფინალში იაფად გავიდა



ლევონ არონიანი

**სომეხმა** დიდოსტატმა, ლევონ არონიანმა განმეორებით შეხვედრაში ფრანგ ეტიენ ბაკროს მოუგო და ფინალშიც გავიდა. არონიანი, რომელსაც მეგობრები ხუმრობით იაფფასიან ტაქტიკოსს უწოდებენ, საუკეთესოა გათამაშებაზე და ფინალში წარმატებას უფრო მას უწინასწარმეტყველებენ.

არონიანის მეტოქე კი ჯერ გაურკვეველია და მისი ვინაობა დღეს ტაიმბრეიკში უკრაინელი რუსლან პონომარიოვისა და რუსი ალექსანდრ გრიშჩუკის შეხვედრისას გაირკვევა. უკრაინელმა და რუსმა ორივე პარტია სწრაფი ყაიმებით დაასრულეს.

რაც შეეხება არონიან-ბაკროს მატჩს, იგი სომეხმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, ცენტრში პაიკები გამოიყვანა და ფიგურების განვითარებას შეუდგა. ფრანგმა თავიდანვე ფიცხელი თამაში შესთავაზა მეტოქეს, მე-8 სვლაზე ლაზიერი გაუცვალა და მსუბუქი ფიგურებით დაარტყა. არონიანმა აგრესიას აგრესიითვე უპასუხა, მეტიც, 26-ე სვლაზე ხარისხით დაწინაურდა და a ხაზზე პაიკის გაყვანა დაიწყო. ბაკრო მოიერიშე ფიგურის შეკავებას შეუდგა, თუმც, არონიანმა ამ დროს ხელმწიფის ფლანგიც ჩართო შეტევაში და 51-ე სვლაზე საფინალო გამარჯვებისა დააქუხა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ლეილამ პრესისთვის ღიად ივარჯიშა



**გუშინწინ** ბერლინში მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივე ქალთა შორის სახელგანთქმული მუჰამედ ალის შვილმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ლეილა ალიმ ბერლინში პრესისთვის ღია ვარჯიში გამართა.

ალი რინგზე 17 დეკემბერს შოუს პროგრამით გამოვა, რომელიც დაუკავშირდება იმ დღის მთავარ მოვლენას, სუპერ მძიმე წონაში WBA-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ნიკოლაი ვალუევისა და ჯონ რუიზის ბრძოლას.

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის
ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში





ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი
ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62
www.hairline.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP მადონა დი კამპილიოდან

ჯორჯო როკა ასპარეზობისას



AFP ასპენიდან

ანა პიერსონი ასე ზეიმობს გამარჯვებას

# იტალიური სიზმარი ალპებში

11 დეკემბერი

**სლალომი. ქალები**

*ასპენი. აშშ*

| | | |
|---|---|---|
| 1 | ანა პიერსონი (შვედეთი) | 1.35,10 |
| 2 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1.35,10 |
| 3 | კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 1.36,04 |
| 4 | ლაურე პეკენო (საფრანგეთი) | 1.36,08 |
| 5 | კიარა კოსტაცა (იტალია) | 1.36,18 |

12 დეკემბერი

**სლალომი. კაცები**

*მადონა დი კამპილიო. იტალია*

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჯორჯო როკა (იტალია) | 1.32,26 |
| 2 | ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.32,51 |
| 3 | კალი პალანდერი (ფინეთი) | 1.33,15 |
| 4 | ტომას გრანდი (კანადა) | 1.33,29 |
| 5 | ჟან-პიერ ვიდალი (საფრანგეთი) | 1.33,33 |

**სეზონში** პირველი სლალომი ქალებმა აშშ-ს ერთ-ერთ უცნობილეს კურორტ ასპენში გაითამაშეს, რომელიც უაღრესად საინტერესოდ წარიმართა. გამოჩნდა, რომ წლეულსაც მეტად სერიოზული დაპირისპირება იქნება ხორვატ იანიცა კოსტელიჩსა და შვედ ანა პიერსონს შორის, რაც სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთ კიდევ ერთ საინტერესო სეზონს ჰპირდება, თუმც არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ოლიმპიური სეზონია და მოთხილამურეები ყველანაირად ეცდებიან, ფორმის პიკს სწორედ ტურინისთვის მიაღწიონ და რომელიმე ეტაპი ამ მომზადებასაც შესწირონ.

ასპენში კი შვედმა იმარჯვა. მან ეს მეორე ცდაზე ნაჩვენები უსწრაფესი დაშვებით მოახერხა, ვინაიდან პირველი ცდის შემდეგ კოსტელიჩთან ის თითქმის ერთ წამს აგებდა:

„მეორე დაშვებისას უკვე ყველა მომენტში, ყველა მოსახვევში უნდა გამერისკა. საერთოდ, იანიცასთან ასეთი ჩამორჩენის აღმოფხვრა შეუძლებელია, დღეს კი გამიმართლა და მეც კარგად ვიასპარეზე“ — განაცხადა გახარებულმა პიერსონმა.

აი, კოსტელიჩი კი მეტად ცუდ ხასიათზე იყო:

„თავს სულელივით ვგრძნობ. ერთი წამი ამ სახეობაში უდიდესი ჩამორჩენაა, მე კი საშუალება მივეცი, ჩემთვის გაესწრო“.

მესამე ადგილზე თინეიჯერი ავსტრიელი კატრინ ცეტელი გავიდა, რაც მისთვის მართლაც ფანტასტიკური შედეგია.

რაც შეეხებათ მამაკაცებს, ისინი ალპებში, კერძოდ იტალიურ კურორტ მადონა დი კამპილიოში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ადგილობრივ გულშემატკივართა გასახარად, გამარჯვება ჯორჯო როკამ მოიპოვა.

როკა მართლაც მშვენიერ ფორმაშია და, წესით, კარგი სეზონიც უნდა ჰქონდეს, ვინაიდან უკვე გამოცდილებაც საკმარისი დაუგროვდა და არც იმ ასაკშია, ტრავმები იოლად მიიღოს. ამიტომაც მრავალი ექსპერტი ტურინში სლალომის მოგების მთავარ პრეტენდენტად სწორედ როკას ასახელებს.

სხვათა შორის, როკამაც მეორე ცდის დიდებული შესრულების შემდეგ მოახერხა ოქროს მოგება. პირველი დაშვების შემდეგ წინ ძალიან ძლიერი ავსტრიელი, ბენჯამინ რაიხი იყო, მაგრამ როკამ არ დაანება მას გამარჯვება და კარიერაში მერვე ეტაპი მოიგო, სამშობლოში კი პირველად მოახერხა კვარცხლბეკის სათავეში მოქცევა:

„ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა. ფაქტობრივად შინ მოვიგე ტკბილი სიზმარივით იყო ჩემთვის. განსაკუთრებით ბოლო მონაკვეთი გავიარე კარგად“ — თქვა როკამ.

იტალიელებს კი ალბერტო ტომბას სპორტიდან წასვლის შემდეგ სამთო-სათხილამურო ოლიმპიური ოქროს მოპოვების შანსი პირველად გაუჩნდათ.

წინა სეზონში სლალომისა და სუპერ-კომბინირებული დაშვებების გამარჯვებულმა რაიხმა ესლა თქვა — რამდენიმე ტექნიკური შეცდომა დავუშვი და ამან წამაგებინაო. თუმც საერთო ჩათვლაში ავსტრიელმა მაინც წინ წაიწია და მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა.

აი, შარშანდელი მსოფლიოს თასის მფლობელმა და წლევანდელი საერთო ჩათვლის ლიდერმა ამერიკელმა ბოდე მილერმა კი მეორე ცდაზე ძალიან ცუდად იასპარეზა და საერთოდ ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

**კახა ლომაშვილი**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

# ნუ გააბრაზებთ ოტავას

12 დეკემბერი

**კოლორადო 2:6 ოტავა**

*1:1 1:1 0:4*

1:0 სვატოში (5), 1:1 ფიშერი (12), 2:1 ბრისბუა (34), 2:2 შუბერტი (36), 2:3 ჰიტლი (46), 2:4 ივზი (54), 2:5 სმოლინსკი (55), 2:6 ბოჩენსკი (56)

**ნუ** გააბრაზებთ „ოტავას“. ორი მარცხის შემდეგ „სენატორებმა“ დასავლეთის ერთ-ერთი გრანდი გაანადგურეს. ისე, კარგახანს საკმაოდ თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ, როგორც მასპინძლები ოდნავ მოდუნდნენ, ოტაველები სრული ძალით შეასკდნენ მეტოქეს და რაღაც 70 წამში ბრძოლის მანიშნებელი 3:2 6:2-ად აქციეს. მიუხედავად ჯეისონ სპეცას არყოფნისა (ნეკნის ტრავმა), მისმა პარტნიორებმა პირველი სამეულიდან — დანი ჰიტლიმ და დანიელ ალფრედსონმა — 3-3 ქულა მიითვალეს (შესაბამისად, 1+2 და 3 პასი).



AFP დენვერიდან

ანტუან ვერმეტის (№20) „ოტავამ“ გასვლაზე „კოლორადო“ ამოაყირავა

**დეტროიტი 3:1 პიტსბურგი**

*1:0 1:0 1:1*

1:0 ზეტერბერგი (11), 2:0 ზეტერბერგი (37), 3:0 ლიდსტრიომი (47), 3:1 რეკი (60)

**სიდნი** კროსბი დღითიდღე სულ უფრო კრიტიკულ განწყობაზე დგება. ორშაბათს 18 წლის ვუნდერკინდმა კვლავ გააკრიტიკა გუნდის თამაში და თქვა, რომ ასეთ ასპარეზობას არანაირი გამართლება არ აქვს. თუმც ამჯერად კროსბიმ საკუთარი თავიც იგულისხმა. მით უმეტეს, რომ სწორედ მისი გაძევების შემდეგ გაიტანა „დეტროიტმა“ პირველი შაიბა.

ცხადია, ნამატჩევს მასპინძლები გაცილებით უკეთეს განწყობაზე იყვნენ. დუბლის ავტორმა ჰენრიკ ზეტერბერგმა აღნიშნა, რომ ეს არ იყო გუნდის საუკეთესო თამაში, თუმც მოგებისთვის საკმარისი ძალისხმევა დასჭირდათ. „დეტროიტის“ თავკაცმა მაიკ ბებკოკმა კი უფრო კროსბიზე ისაუბრა: „როგორ შეიძლება, უკმაყოფილო იყო, როცა 31 ქულა დააგროვე“ - თქვა მწვრთნელმა.

**ტორონტო 3:2 ანჰაიმი**

*1:1 2:1 0:0*

1:0 ველვუდი (9), 1:1 რ. ნიდერმაიერი (17), 2:1 კაბერლე (24), 3:1 სტინი (32), 3:2 სელიანე (35)

**ბომბარდირები:** იაგრი (რეინჯერსი) 50(23+27), ტორნტონი (სან ხოსე) 45(11+34), ალფრედსონი (ოტავა) 44(21+23), ჰიტლი (ოტავა) 44(20+24), სპეცა (ოტავა) 43(11+32), სტაალი (კაროლინა) 42(21+21), სავარი (ატლანტა) 42(13+29), კოვალჩუკი (ატლანტა) 41(19+22), ფორსბერგი (ფილადელფია) (41(9+32), დემიტრა (ლოს ანჯელესი) 38(16+22), მაკეიბი (ტორონტო) 38(10+28), განიე (ფილადელფია) 37(23+14), მარლო (სან ხოსე) 36(12+24), პროსპალი (ტამპა) 35(13+22)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| ატლანტა | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 32 | 20 | 8 | 4 | 103:79 | 44 |
| ფილადელფია | 28 | 17 | 7 | 4 | 107:91 | 38 |
| აილენდერსი | 29 | 15 | 12 | 2 | 93:98 | 32 |
| ნიუ ჯერსი | 29 | 13 | 12 | 4 | 89:97 | 30 |
| პიტსბურგი | 30 | 8 | 16 | 6 | 82:122 | 22 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 28 | 22 | 4 | 2 | 124:59 | 46 |
| ბუფალო | 30 | 19 | 10 | 1 | 98:95 | 39 |
| ტორონტო | 31 | 16 | 12 | 3 | 102:97 | 35 |
| მონრეალი | 28 | 15 | 8 | 5 | 80:87 | 35 |
| ბოსტონი | 31 | 10 | 15 | 6 | 93:107 | 26 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 29 | 18 | 9 | 2 | 105:95 | 38 |
| ტამპა | 30 | 17 | 10 | 3 | 96:90 | 37 |
| ატლანტა | 31 | 11 | 16 | 4 | 106:117 | 26 |
| ფლორიდა | 31 | 9 | 18 | 4 | 75:105 | 22 |
| ვაშინგტონი | 28 | 9 | 17 | 2 | 80:113 | 20 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთ კონფერენცია**

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 31 | 21 | 8 | 2 | 115:79 | 44 |
| ნეშვილი | 27 | 18 | 6 | 3 | 80:72 | 39 |
| ჩიკაგო | 28 | 12 | 14 | 2 | 78:97 | 26 |
| კოლუმბუსი | 29 | 9 | 20 | 0 | 57:103 | 18 |
| სენტ ლუისი | 26 | 5 | 17 | 4 | 73:106 | 14 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 31 | 18 | 9 | 4 | 75:73 | 40 |
| ვანკუვერი | 29 | 18 | 9 | 2 | 95:83 | 38 |
| ედმონტონი | 30 | 16 | 11 | 3 | 93:89 | 35 |
| კოლორადო | 31 | 16 | 12 | 3 | 117:104 | 35 |
| მინესოტა | 29 | 11 | 14 | 4 | 77:71 | 26 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 27 | 19 | 7 | 1 | 94:76 | 39 |
| ლოს ანჯელესი | 31 | 18 | 12 | 1 | 105:90 | 37 |
| ფინიქსი | 30 | 16 | 12 | 2 | 87:76 | 34 |
| ანჰაიმი | 31 | 13 | 13 | 5 | 83:84 | 31 |
| სან ხოსე | 29 | 13 | 12 | 4 | 88:95 | 30 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

# მაკა ჩახნაშვილი: სხვების უიმედობამ რწმენა შემმატა



გურამ [illegible] ფოტო

*მაკა ჩახნაშვილი ამ 5-6 წლის წინათ უპერსპექტიულეს ქართველ ჩოგბურთელად მიიჩნეოდა. ტექნიკური თამაშით გამორჩეული გოგონა მსოფლიო რეიტინგში დღითი დღე მაღლა მიიწევდა. ორასეულსაც მიუახლოვდა და ბევრმა ასეულზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ მოულოდნელად ჩავარდნა დაეწყო და უშედეგობა ლამის ორ წელიწადს გაეწელა. შარშან ჩახნაშვილი ექვსასზე დაბლა დაეშვა და ალბათ საბოლოოდაც ჩამოწერეს, თუმც ნაადრევად...*

*წლევანდელი სეზონის დასაწყისიდან მაკა ნელ-ნელა ჩვეულად ათამაშდა და დაკარგულის ანაზღაურება იწყო. ამჟამად 250-ე ადგილზეა, უახლოეს დღეებში კი სავარაუდოდ კიდევ 30 ადგილით წაიწევს წინ. ბოლ ორ კვირაში ისრაელში 10 ათასი დოლარის საპრიზო ფონდიანი ორი ტურნირი მოიგო. თბილისში ჩახნაშვილი გუშინ დაბრუნდა. დამღლელი მგზავრობის მიუხედავად, ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა*

— წლევანდელი სეზონი ძალიან წარმატებული გამოდგა. დაახლოებით 20 ტურნირი ვითამაშე და ერთი-ორის გარდა მინიმუმ მეოთხედფინალს ყოველთვის ვაღწევდი. ამ ტურნირებიდან ოთხის საპრიზო ფონდი 10 ათასი იყო და სამში ჩემპიონი გავხდი.

**— ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში რეიტინგის შვიდასეულში იყავი. ელოდი ასეთ ალმასვლას?**

— ამის იმედი და რწმენა რომ არ მქონოდა, ალბათ, ჩოგანს გვერდზე გადავდებდი. ვგრძნობდი,ის დიდი ჩავარდნა, რომელიც ორიოსამი წლის წინათ დამეწყო, უნდა გადამელახა.

**— შენი აზრით, რის ხარჯზე გამოასწორე მდგომარეობა?**

— წლების წინ სამასეულში ვირიცხებოდი და უფრო ზემოთ ასვლის რეალური შანსიც მქონდა, მაგრამ... ყველა სპორტსმენის კარიერაში არის უიღბლო პერიოდები. სამწუხაროდ, მე ეს მაშინ დამემართა, როცა ყველა მწვერვალზე ფიქრობდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ფსიქოლოგიურად მოვიშალე და ეს პერიოდი ძალიან გაიწელა. უიღბლობას ხშირი ტრავმებიც დაერთო და ბევრმა ხელიც ჩაიქნია. კარიერა ნაადრევად დამასრულებინეს. სწორედ ამან გამომაფხიზლა. გადავწყვიტე, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ჯერ კიდევ შემეძლო ძველებურად თამაში და უფრო წინ წასვლაც. მიზანს ნაწილობრივ უკვე მივაღწიე.

**— ამჟამად რეიტინგსიაში 250-ე ადგილზე ხარ, მოგება კიდევ წაგწევს წინ...**

— ალბათ 220-ში შევალ. ასეთი შედეგი ჯერ არასოდეს მქონია.

**— ზაფხულის ბოლოს „ბორჯომის თასი“ რომ მოიგე, გვითხარი, რომ გაისამდე ორასეულში შესვლას გეგმავდი, რაც დიდ ტურნირებში თამაშის შესაძლებლობას მოგცემდა.**

— ორასში შესვლას ვერ მოვასწრებ, თუმც ეს დიდ ტურნირებზე თამაშში ხელს მაინც არ შემიშლის. მომავალ სეზონში 140 ათას დოლარიან და უფრო მეტიან შეჯიბრებებზეც გამოვალ და დიდ შლემზეც. საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსახვედრად უკვე ეს ქულებიც საკმარისი იქნება.

**— წლის ბოლომდე ტურნირის თამაშს ველარ ასწრებ?**

— სამწუხაროდ, ტურნირები უკვე დასრულდა. იანვრის ბოლომდე მხოლოდ ვარჯიში მომიწევს.

**— წლევანდელ სეზონში ყველაზე დასამახსოვრებელი რა იყო?**

— „ბორჯომის თასის“ მოგება. თბილისის ტურნირი აქამდე ქართველს არასოდეს მოეგო და ძალიან გამიხარდა, პირველად ეს მე რომ შევძელი. შანსი ადრეც მქონდა რამდენჯერმე, მაგრამ მიზანს ვერაფრით ვაღწევდი.

**— მომავალ სეზონს რომელი ტურნირით დაიწყებ?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. წინასწარი გრაფიკის შედგენას სერიოზული დაფინანსება სჭირდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ჩოგბურთელის დიზაინური სიურპრიზი

## კუერტენმა სპორტული ტანსაცმლის გამოშვება დაიწყო

**მსოფლიოს** ყოფილმა ნომერ პირველმა ჩოგანმა, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა ბიზნესს მოჰკიდა ხელი — სპორტულ ტანსაცმელს უშვებს. სხვათა შორის, ამავე ტანსაცმლით ის ATP ტურშიც იასპარეზებს.

„როცა პირველად მოვიგე საფრანგეთის ღია პირველობა, მაშინ მეტად თვალისმომჭრელი ფორმით ვთამაშობდი და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულ სავაჭრო მარკად იქცა. ასე რომ, ჩოგბურთის მსგავსად, დიზაინერულ საქმიანობაშიც მინდა, გარკვეული სიურპრიზის გაკეთება“, — განაცხადა კუერტენმა.

ბრაზილიელი სასერფინგო, საპლიაჟო და კლასიკური ტანსაცმლის გამოშვებას აპირებს. კუერტენი არც კაცობრიობის ულამაზეს ნახევარს დაწყვეტს გულს და ქალებისთვისაც გამოუშვებს იგივე ნაწარმს.

ტანსაცმელი უკვე მომავალი წლის დასაწყისშივე გამოჩნდება ბრაზილიის მაღაზიებში. კუერტენის გეგმებში მსოფლიოს ბაზარზე გასვლაც შედის. ჩოგბურთელმა თაყვანისმცემლებიც დაამშვიდა:

„ამ პროექტზე დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი და მიხარია, რომ ყველაფერი უკვე მზად არის. მაგრამ არ მინდა, ხალხმა იფიქროს, რომ ეს ჩოგბურთს ჩამომაშორებს. მე სერიოზულად ვვარჯიშობ და შემდეგ სეზონსაც კარგ ფორმაში შევხვდები. ვიმედოვნებ მაქვს, დამდეგი წელიწადი იღბლიანი იქნება ჩემთვის“.

**კახა ლომაშვილი**



## მსოფლიოს XVII ჩემპიონატი. ქალები

### სანქტ პეტერბურგი. 5–18 დეკემბერი

რუსეთი 32:27 კორეა
უნგრეთი 27:26 ხორვატია
ჰოლანდია 30:30 ნორვეგია

გერმანია 32:26 საფრანგეთი
რუმინეთი 35:33 ბრაზილია
დანია 28:28 უკრაინა



AFP სანქტ პეტერბურგიდან

იზაბელ ბლანკო ნორვეგიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# რუსები ცალი ხელით პლეი ოფში არიან

**მეორე** ჯგუფურ ეტაპზეც უდანაკარგოდ აგრძელებს ბრძოლას ჩემპიონატის ფავორიტთაგანი, მასპინძელი რუსეთი.

ევგენი ტრეფილოვის გოგოებმა მორიგი ორი ქულა სამხრეთკორეელებთან დამაჯერებელი გამარჯვებით ჩაიწერეს და ზედიზედ მეექვსე მოგება იზეიმეს. სლავი ქალები თავიდანვე დაწინაურდნენ — 3:0 და ამის შემდეგ ერთხელაც არ მიუციათ მეტოქეებისთვის წინ წასვლის საშუალება, მეორე ტაიმის მერვე წუთზე კი უპირატესობა რვა ბურთამდე გაზარდეს და პრობლემაც მოიხსნა.

უნგრელებმა უდაძაბულეს ბრძოლაში სძლიეს ძლიერ ხორვატებს და, რუსთა მსგავსად, თითქმის ნახევარფინალში არიან ისევე, როგორც მეორე ჯგუფში ბრაზილიელთა მძლეველი რუმინელები.

მეორე სტადიაზე ორი არაევროპული გუნდი კი გამოდის, თუმც ეტყობა, წინ ვერც ერთი ვერ წავა.

მოულოდნელად, კვლავ წარმატებით მიიწევს წინ ჰოლანდიის ნაკრები, რომელმაც ამჯერად ნორვეგიელებთან ფრედ დამთავრებული შეხვედრის მერე ტიტულებიანი მეტოქე „თამაშგარეთ“ დატოვა.

ასევე სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგები — გერმანიასთან უშანსო მარცხმა მათ ბოლო სამედლო იმედი გადაუწურა.

**გია ახალაძე**

| პირველი ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 95:77 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 89:73 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 1 | 81:91 | 3 |
| კორეა | 1 | 0 | 2 | 86:99 | 2 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 2 | 73:80 | 1 |
| ხორვატია | 0 | 0 | 3 | 81:85 | 0 |

| მეორე ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 93:86 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 86:76 | 5 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 97:77 | 4 |
| უკრაინა | 1 | 1 | 1 | 87:85 | 3 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 3 | 79:92 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 3 | 79:98 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

### მერვედფინალი

პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 31:30 კოლდინგი (დანია) (34:33)
ბარსელონა (ესპანეთი) 27:23 მაგდებურგი (გერმანია) (26:24)
ფლენსბურგი (გერმანია) 28:24 ზაგრები (ხორვატია) (23:25)
სიუდად რეალი (ესპანეთი) 36:27 პიკ სეგედი (უნგრეთი) (32:31)
პორტლენდი (ესპანეთი) 27:22 ადემარ ლეონი (ესპანეთი) (26:31)
მონპელიე (საფრანგეთი) 33:28 გორენიე (სლოვენია) (22:26)
აარხუსი (დანია) 31:28 ვესპრიმი (უნგრეთი) (21:30)
კილი (გერმანია) 44:28 პარი ჰენდბოლდი (საფრანგეთი) (28:21)

# ყირები



AFP ფილადელფიიდან

ეს აქეთ-იქითა ყირა იმის ბრალია, რომ ნიუიორკელმა ანტონიო პირსმა (მარჯვენა ყირა) გზა არ მისცა ფილადელფიელ ელჯი სმიტს (მარცხენა ყირა). ამერიკული ბურთაობაც ასეთია, გზა თუ მიეცი, რაღა გეთამაშება?

# კილომე კილოს კილომეტრეზე

32 წლის კილომე კილო ასე კილომეტრეზე გადის: მოახტება ორი წლის მამალ სირაქლემას და წავიდაა... ეს კენიური სპორტი კი თანდათან იხვეჭს პოპულარობას.



AFP ნაირობიდან



AFP პოკლიუკიდან

# მომგები ფრანგი

ისვრის და ისვრის ფრანგი რაფაელ პუარე, ბიატლონის მსოფლიოს თასი ჰოხფილცენში გახურებულა და 20-კილომეტრიანი რბოლა, შესაბამისი შუთანგით სწორედ ამ ფრანგს მოუგია.

# აზია და ევროპა

აზია და ევროპა ასე შეხვდნენ ერთმანეთს დუბაის ტრეკზე. იქ A1-ის რბოლები იმართება და გულშემატკივრებიც მრავლად არიან.



AFP ჟენევიდან

# როდრიგუ და ბალუბე

ამ ბოლო გვერდზე ბრაზილიელი როდრიგუ პესოა ადრეც გამოჩენილა, ისევე როგორც მისი ბალუბე დურუე, ახლა მხედარ-ქურანი ჟენევაში არიან და დაბრკოლებათა გადალახვის 45-ე ჭერქვეშა შეჯიბრში იმარჯვებენ.



AFP დუბაიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge